რეგიონი

ედუარდ შევარდნაძე: „იმერეთში ბევრი რამ ისეთი ვნახე, რამაც ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა“

როგორც უკვე ვიუწყებოდით, 4 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე იმერეთის მხარეს ეწვია. თანმხლებ პირებს შორის იყვნენ შინაგან საქმეთა მინისტრი კობა ნარჩემაშვილი, რეგიონული პოლიტიკისა და მართვის სამსახურის უფროსი ირაკლი ბოჭორიძე, საქართველოს საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ბორის სარალიძე, სხვა ოფიციალური პირები.

ქვეყნის მეთაურს პირველად ქალაქ ზესტაფონში საქართველოს საპატრიარქოს მარგვეთის ეპარქიის წმინდა სიმონ კანანელის სასულიერო ცენტრის წმინდა ბარბარეს სახელობის ობოლ და უპატრონო ბავშვთა პანსიონატის აღსაზრდელებმა უმასპინძლეს. ამჟამად აქ 12 წლამდე ასაკის 130-ზე მეტ პატარას არ აკლებენ მზრუნველობას, რომელთაგან ყველაზე უმცროსი – ჩვილი ბავშვი, რამდენიმე დღის წინათ მოიყვანეს.

„ჩვენი სახელმწიფო ძალიან მდიდარი არ არის, მაგრამ არაფერს იშურებს, რათა თქვენ გიპატრონოთ“, – ასეთი სიტყვებით მიმართა ედუარდ შევარდნაძემ სასულიერო ცენტრის აღსაზრდელებს. პრეზიდენტი პატარებთან ხელდამშვენებული ჩავიდა – მან ძღვნად სურსათი ჩაუტანა.

ზესტაფონის რეკონსტრუირებული რკინიგზის სადგურის დათვალიერებისას, პრეზიდენტს მეგზურობა გაუწია „საქართველოს რკინიგზის“ გენერალურმა დირექტორმა აკაკი ჩხაიძემ. სადგურის გარე ხედი ეკლარის ქვით, ხოლო მოსაცდელი დარბაზი გრანიტის ფილებით მოპირკეთდა, დაიდგა ახალი ინვენტარი, რისთვისაც რკინიგზის დეპარტამენტმა 750 ათასი ლარი გამოყო.

რკინიგზის სადგურის შემდეგ ედუარდ შევარდნაძემ დაათვალიერა საქარის ღვინის ქარხანა, სადაც ამჟამად გაწმენდილ იმერულ ღვინოებს – „ციცქას“, „ალადასტურსა“ და სხვებს ასხამენ, აგრეთვე თერჯოლის მეფრინველეობის ფაბრიკა, რომელშიც ფირმა „ყაზბეგმა“ 230 ათასი დოლარის ინვესტიცია დააბანდა.

იხ. მე-2 გვ.

მილოცვები

მის აღმატებულებას ბატონ ედუარდ შევარდნაძეს საქართველოს პრეზიდენტს

განსაკუთრებული სიამოვნებით მინდა თქვენს აღმატებულებას 75-ე დაბადების დღესთან დაკავშირებით გადავცე ჩემი გულთბილი სურვილები, – ვუსურვო პირადი კეთილდღეობა და მრავალი ასეთი ბედნიერი დღე.

ვსარგებლობ შემთხვევით და კიდევ ერთხელ გარწმუნებთ ჩემს თქვენდამი გულწრფელ, მეგობრულ დამოკიდებულებაში და ღრმა პატივისცემაში.

კონსტანტინოს სტეფანოპოლოსი,
საბერძნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი.

მის აღმატებულებას ბატონ ედუარდ შევარდნაძეს საქართველოს პრეზიდენტს

თქვენო აღმატებულებავ,

თქვენი დაბადების 75-ე წლისთავთან დაკავშირებით ვსარგებლობ სასიამოვნო შემთხვევით და მინდა გისურვოთ ჯანმრთელობა, ბედნიერება და ძალა იმ საქმეში, რომელიც მოგანდოთ ქართველმა ხალხმა.

რუმინეთისა და საქართველოს განსაკუთრებული ურთიერთობა, ახლო თანამშრომლობა ყველა სფეროში, პასუხისმგებლობას აკისრებს ორივე ქვეყნის აღმასრულებელ ხელისუფლებას, გააგრძელოს საქმიანობა, რათა გააღრმაოს მეგობრობა და თანამშრომლობა ჩვენი ქვეყნების და ხალხთა საკეთილდღეოდ, იმისათვის, რომ გაძლიერდეს უშიშროება რეგიონში და ევროპის კონტინენტზე.

ადრიან ნასტასე,
რუმინეთის პრემიერ-მინისტრი.

„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ...“

„საქართველოს რესპუბლიკა“ ინტერნეტში: http://www.open.ge/sakartvelos-respublika

ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, პოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელში და სხვა ქვეყნებში.

შპს „საქართველოს რკინიგზა“
The Georgian Railway Ltd

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. №33 (4412) ხუთშაბათი, 6 თებერვალი, 2003 წელი. ფასი 50 თეთრი.

სნსკ
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

სულიერება

ჭეშმარიტების შენიღბვა შეუძლებელია

ყოველმან, რომელმან თქუას სიტყუაი ძისა მიმართ კაცისა, მიეტევოს მას, ხოლო სულისა წმიდისა მგმობარსა არა მიეტევოს
(ლუკ. 12,10)

როგორც ცნობილია, მართლმადიდებელი ეკლესიის ძალა უწინარესად, ის არის, რომ იგი შეურყვნელად იცავს სიწმინდეს იმ მოძღვრებისა, რომელიც თავად განკაცებულმა ღმერთმა – იესო ქრისტემ იქადაგა და შემდეგ მისმა მოწაფეებმა მთელ მსოფლიოში გაავრცელეს. ჯერ კიდევ მოციქულებმა იცოდნენ, რომ ღმერთისა და კაცის მარადიული მტერი აუცილებლად დაიწყებდა ბრძოლას სარწმუნოებრივი სწავლების ასამღვრევად და შესარყვნელად და ამიტომაც გვაფრთხილებდნენ, თავი აგვერიდებინა მათთვის, რომელნიც გამოცხადებით მიღებულ სწავლებაში სიახლის შეტანით ადამიანთა ცდუნებას შეეცდებოდნენ.

იხ. მე-3 გვ.

გულისთქმა

Tqven dgexarT, ideqiT da idgebiT misiis Tqvenis sabolood aRsrulebamde!

რასაც დღეს ურიცხვი, ურცხვი გაზეთ-ჟურნალები თქვენზე წერენ, რადიო, ტელევიზია, პარლამენტი აცხობს „ტკბილტკბილ“ კვერებს, ვაი-მსმენელი, მაყურებელი, გამგებ-გაუგებელი იწვნევს და იტკბარუნებს ყოველივე ამას. მხოლოდ ამით, მხოლოდ ამისთვის და მხოლოდ ამიტომ ცოდვის უფსკერო ზღვიდან და ცოდვის უსაზღვრო ტვირთიდან დიდხანს ვერ ამოვა ჩვენი ბედკრული, დეპრესირებულ-კომპლექსირებული, მხარმოქცეული და თავგზადაკარგული ერი, ჩვენი ღმერთდაკარგული, უბედურუბადრუკი სამშობლო.

არა და ამას ყველას, რაც ჩვენში ხდება, მცირე ტან-მასშტაბის კი არა, უბევრესის მასის ერები ვერ გაუძლებდნენ, ვერ აიტან-ვერ მოინელებდნენ.

არა და რა „მაგი“ და ღონეა ამ ერთ მუშტის ტოლა ერში?

რა გაძლების შეუვალი, ამოუწურავი ძალი?

რა ასეთი დაცვის იმუნიტეტი?

რა დევის ღონი, რა განკითხულის განუკითხაობა?

მარტო ამათი ნაწერი, მარტო ამათი ნაყბედი, ბოღმა და შურის რისხვა გააციებდა ამაზე დიდ გარემოს. მერე, ამათი, საპასუხოდ ატეხილი, უანგარიშო რისხვით გადმონთხეული წყევლა-კრულვა, მხუთავი ანათემა... ერთად აღრეული, გაბოროტებულ-გაღიზიანებული, მშიერ-მწყურვალი, უმწეო, გაყიდული, მოტყუებული, ორასწლიან მონობაში თავის თავდაკარგული ურვა, მერე ამათი ჭორის-ჭორისი ნამრავლთ-ნამრავლი, მთელს ერს თუ არა, მის უმეტეს ნაწილს ოდენობრივ აღმატებულ ხარისხში რომ შეძრავს, შეანჯღრევს და რისხვით დაანთხევს...

იხ. მე-2 გვ.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 3 თებერვალი ქ. თბილისი

მურმან ჯაფარიძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

კავშირგაბმულობის დარგის განვითარებაში, საწარმოთა გამართულ მუშაობასა და მოსახლეობის მომსახურების დონის გაუმჯობესებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა და აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობისათვის ხელვაჩაურის რაიონის კავშირგაბმულობის საწარმოო სამმართველოს უფროსის მოადგილე **მურმან ჯაფარიძე** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ედუარდ შევარდნაძე.

გიხაროდენ!

მესამედაც – ბიჭი

– მეორე შვილიშვილი თორნიკე რომ შეგვეძინა (პირველი ერეკლე გვყავს), თქვენმა გაზეთმა მოგვილოცა; იმ დღიდან რუბრიკას „გიხაროდენ!“ ყურადღებას ვაქცევთ, გვიხარია, რომ ქართველთა ოჯახებს ახალი წევრები ემატება. მესამე შვილი გოგო კი უნდოდათ ჩემს ვაჟიშვილსა და მის მეუღლეს, მაგრამ რაც უფალმა ინება, ის გაჩნდა და მისი მადლობელი ვართ – ბიჭს ჩემი სახელი თეიმურაზი რძალმა ხათუნამ დაარქვა.

დღეს ორმაგი სიხარული მაქვს, სამი შვილიშვილის ბაბუა ვარ, თეიმურაზ კაციტაძეც გააგრძელებს ჩემი ოჯახის ტრადიციას – გვაცნობა ქუთაისიდან „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველმა თეიმურაზ კაციტაძემ.

ბატონო თეიმურაზ, მესამე შვილიშვილის შეძენას გილოცავთ, გაიხარეთ!

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

მომხმარებელთა უფლებები ირღვევა

ვიდაცა „კრიშით“ იმუქრება

ამასობაში თაგვმა დრო იხელთა და ტკბილეული შეახრამუნა

უცხოური პროდუქციით (ვინ იცის, როგორი ხარისხის!) დახუნძლულა მაღაზია „სიმბას“ თაროები.

წითელვარსკვლავა საბჭოეთი ერთადერთი ქვეყანა იყო მთელ დუნიაზე, სადაც ადამიანის უფლებები არ ირღვეოდა. ყოველ შემთხვევაში, ასე გვარწმუნებდნენ, თორემ თუ ვინმე ამაში ეჭვს შეიტანდა და საწინააღმდეგო აზრს გამოთქვამდა, ციმბირი უკან დარჩებოდა.

საბაზრო ეკონომიკამ, რომელსაც ახლა ვაშენებთ, სხვა დემოკრატიულ ნორმებთან ერთად ადამიანის უფლებების დაცვა წინა პლანზე წამოსწია. შეიქმნა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზაც. ერთ-ერთი ასეთია კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“, რომელიც ქვეყანაში 1996 წლის 1 ივნისიდან მოქმედებს.

იხ. მე-3 გვ.

ღია ბარათი

ბატონ ჭაბუა ამირეჯიბს

ბატონო ჭაბუა,

თქვენი და ჩვენი ოჯახი ერთი ტკივილით ცხოვრობს და კარგად ეუწყით, პატარა სიხარულის მინიჭებასაც რა დიდი მნიშვნელობა აქვს.

იმ სიხარულს კი, თქვენ რომ განგვაცდევინეთ, განზომილება არა აქვს. ჩემი ერთი თვის შვილიშვილი ლუკა გახოკიძე ღირსი შეიქმნა თქვენი ბუმბერაზი მოღვაწეობის ამსახველი შვიდტომეულის საჩუქრისა თქვენივე წარწერით. ლუკასთვის მარტო ის რად ეღირება, როცა წაიკითხავს: „პატარა ბატონ ლუკა გახოკიძეს... შენი ბაბუა ჭაბუა ამირეჯიბი“. უღრმეს მადლობას გწირავთ ამ გაწუმეორებელი განცდისათვის.

უღრმესი პატივისცემით და სიყვარულით,
ჯემალ გახოკიძე.

ქართული ბიზნესი

მეწარმეებო, მიბაძეთ „თბილღვინოს“!

პროექტები, რომლებმაც კომპანიას მნიშვნელოვანი წარმატებები მოუტანა

კომპანია „თბილღვინო“ ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება სწორად წარმოებული მენეჯმენტისა და თავდაუზოგავი შრომის წყალობით, უმოკლეს ვადაში დიდ წარმატებას მიაღწიო. ეს არის ქარხანა, რომლის არსებობაც სამიოდე წლის წინათ აღარავის ახსოვდა – ტიპიური საბჭოთა საწარმო, სადაც ყველაფერი მოძველებული სისტემით იმართებოდა: ვერტიკალური სტრუქტურა, გაუმიჯნავი პასუხისმგებლობები, მოუწესრიგებელი სადისტრიბუციო ქსელი და წარსულს ჩაბარებული ქართული ღვინის დიდება.

ოთხმოცდაათიანი წლების ბოლოს ქარხანაში მისულმა ახალგაზრდებმა მოახერხეს და კომპანია ახალი ძალით აამოქმედეს. ქარხნის წარმატება, კომპანიის ახალი მენეჯმენტის გარდა, მნიშვნელოვნად განაპირობა მსოფლიო ბანკის პროექტითა და სხვადასხვა უცხოური კომპანიების კონსულტაციებით განხორციელებულმა რადიკალურმა ცვლილებებმა. უკვე დღეს „თბილღვინო“ საქართველოში ერთ-ერთი წამყვანი ღვინის მწარმოებელი კომპანიაა და მის პროდუქციას – ღვინო „ბახუსს“, „ხვანჭკარას“, „საფერავსა“ თუ კიდევ სხვა უამრავ ღვინოს, არამარტო ქართველი, უცხოელი მომხმარებელიც შესანიშნავად იცნობს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ კომპანიის მეღვინეები, დასავლურ ტექნოლოგიებთან ერთად, ღვინის დაყენების ძირძველ ქართულ ტრადიციებსაც არ ივიწყებენ, რაც ქართულ ღვინოს თვითმყოფადობასა და უნიკალურობას უნარჩუნებს.

ვესაუბრებით „თბილღვინოს“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს გიორგი მარგველაშვილს.

იხ. მე-4 გვ.

ინფორმაცია

შესაძლებელია პროვოკაციების ორგანიზება

საერთაშორისო სამართლის საკითხებში საქართველოს პრეზიდენტის მრჩევლის ლევან ალექსიძის თქმით, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონიდან რუს სამშვიდობოთა გაყვანის შემთხვევაში, რუსეთის გარკვეული ძალები აფხაზეთში პროვოკაციის ორგანიზებისთვისაა მომართული.

ოფიციალური თბილისი ამისათვის მზად უნდა იყოს, რამდენადაც ისეთი „გამოუცნობი ქვეყნისაგან, როგორიც რუსეთია ყველაფერი მოსალოდნელია“. – აცხადებს ლევან ალექსიძე. მისი აზრით, საქართველომ, ქვეყნის ტერიტორიიდან რუს სამხედროთა სასწრაფოდ გაყვანის საკითხი მთელი კატეგორიულობით უნდა დასვას, რამდენადაც საერთაშორისო ნორმების შესაბამისად, უცხოური არმიის მოცემული ფორმატით სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე ყოფნა აგრესიას წარმოადგენს.

„თუ რუსული ბაზების გაყვანის პროცესი კიდევ 10 წელს გასტანს, ეს იმის ტოლფასი იქნება, რომ საქართველო ნატოს წევრი არასდროს გახდება, სადაც სახელმწიფო ისწრაფვის“, – აღნიშნა მან.

პრიორიტეტული მნიშვნელობისა

ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენის „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა“ და გაზსადენ „ბაქო-თბილისი-ერზრუმის“ დაცვას პრიორიტეტული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს, რამდენადაც ამ გრანდიოზული პროექტების განხორციელებას არცთუ ცოტა მოწინააღმდეგე ჰყავს, – თვლის აზერბაიჯანის ელჩი საქართველოში ჰაჯან ჰაჯიევი. იგი საქართველოსთან და სხვა დაინტერესებულ ქვეყნებთან ერთად მილსადენების დასაცავად სპეციალური ქვედანაყოფის ფორმირებას მიემხრო.

პირდაპირ ტრანსლაციას ითხოვს

გუშინ გლდანი-ნაძალადევის რაიონულმა სასამართლომ ტელეკომპანიებს ჟურნალისტ გიორგი სანაიას მკვლელობაში ბრალდებული გრიგოლ ხურცილავას პროცესების პირდაპირი ტრანსლაციით უზრუნველყოფა სთხოვა და საქმის განხილვა 14 თებერვლამდე გადადო.

სხდომების პირდაპირ ეთერში გადაცემას სასამართლო დისკრედიტაციის თავიდან აცილების მიზნით ითხოვს.

ხანძარმა ორი ადამიანი იმსხვერპლა

5 თებერვალს, გამთენიისას, თბილისში უბედური შემთხვევა მოხდა. გორგასლის ქუჩის 55-ში გაჩენილმა ხანძარმა სახლის მეპატრონე იური ჯიქია და მასთან მყოფი მეგობარი მამაკაცი იმსხვერპლა.

ხანძრის გაჩენის მიზეზი უცნობია.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: პრაიმ-ნიუსმა, საქინფორმმა.

კალათბურთი

ხვალ ნახევარფინალებია

გუშინ რუსთავში გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა ეროვნული თასის პირველი გათამაშების მორიგი მატჩები. გაუწყებთ მათ შედეგებს: „მაქაბი“ – აკადემია 104:94, „დინამო“ – თსუ 79:68, სტუ – სსუ 110:84, „აზოტი“ – „ბასკო“ 93:84 (მასპინძელთა ლიდერმა რამაზ გოგობერიშვილმა 46 ქულა მოაგროვა).

ხვალ ნახევარფინალში ითამაშებენ სტუ – „ბასკო“ (14 საათზე) და „აზოტი“ – „დინამო“ (16 საათზე).

უკანასკნელ საათს

გუშინ გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე სიტყვით გამოვიდა აშშ სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელი. მან წარმოადგინა თანამგზავრიდან გადაღებული ფოტოსურათები და ერაყის ოფიციალურ პირთა საუბრების აუდიოჩანაწერები. პაუელმა ისაუბრა ერაყში ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის წარმოებაზე, ბირთვულ პროგრამასა და ტერორიზმის მხარდაჭერაზე.

დღეს ბრიუსელში გაიმართება ნატოს წევრი ქვეყნების ელჩების სპეციალური სხდომა, რომელზეც განიხილავენ ერაყის პრობლემას და აშშ მოთხოვნას ერაყში შეიარაღებული მესვლის შემთხვევაში მხარდაჭერის შესახებ.

ამინდი დღეს

დასავლეთ საქართველოში

დაბლობში:	ღამით +7;	დღისით +16;
მთაში:	ღამით +1;	დღისით +10;

აღმოსავლეთ საქართველოში

ბარში:	ღამით +2;	დღისით +11;
მთაში:	ღამით 0;	დღისით +7;

თბილისში

დროგამოშვებით ღრუბლიანობის მომატება, უნალექოდ. ღამით +1; დღისით +11.

საქართველოს ჰიდრომეტდეპარტამენტი.

ლარის კურსი

6 თებერვლიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

ინგლისური გირვ.	1	3.6147	ლარი
აშშ დოლარი	1	2.1870	ლარი
ევრო	1	2.3900	ლარი
რუსული რუბლი	1	0.0687	ლარი.

გვირეკავენ, გვეკითხებიან

– ვარ სამამულო ომის მონაწილეებთან გათანაბრებული, 80 წელს გადაცილებული პერსონალური პენსიონერი. ვიღებ პენსიას თვეში 35 ლარის ოდენობით. მაინტერესებს მეკუთვნის თუ არა შეღავათი ელექტროენერგიის გადასახადისას. მივმართე ადგილობრივ ხელმძღვანელობას, მაგრამ, როგორც მაცნობეს, შეღავათები, ჩვენი კატეგორიის პირებზე, შეწყვეტილი ყოფილა.

გთხოვთ, განმიმარტოთ, შეეფერება თუ არა აღნიშნული სინამდვილეს?

მ. ნაკაიძე, ოზურგეთი.

– 2002 წლის 18 აპრილიდან რიგი კატეგორიის პირებზე (მათ შორის სამამულო ომის მონაწილეებთან გათანაბრებულზე), ელექტროენერგიის შეღავათი შეჩერებული იყო.

2002 წლის 22 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი კანონის შესაბამისად, ომის მონაწილეებთან გათანაბრებულ პირებს ელექტროენერგიის უფასო მოხმარება განესაზღვრებათ ზამთრის სეზონზე (ნოემბერი-მარტი) 125 კვტ. საათით თვეში, ხოლო ზაფხულის სეზონზე (აპრილი-ოქტომბერი) 75 კვტ. საათით თვეში.

2002 წლის 18 აპრილიდან (ანუ შეღავათის შეჩერების დღიდან) 2003 წლის 1 იანვრამდე, ამ კანონით დაწესებული ელექტროენერგიის შეღავათის დაფინანსება გათვალისწინებული იქნება „საქართველოს 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონით და განხორციელდება ცენტრალური ბიუჯეტიდან.

ირინე ლონტი.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-28-54.

ინტერპანორამა

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა გუშინ კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ ერაყის პრეზიდენტი სადამ ჰუსეინი ფლობს მასობრივი განადგურების იარაღს და ეს „სრულიად აშკარაა“.

ისრაელის ჯარები შევიდნენ ლტოლვილთა ბანაკში ღაზის სექტორში. ოპერაციის დროს დაანგრიეს ერთ-ერთი პალესტინელი მოთარეშის სახლი. ნანგრევებში დაიღუპა ერთი, დაშავდა ცხრა ადამიანი.

მექსიკელების ოჯახმა ამერიკულ ლატარეაში 85 მილიონი დოლარი მოიგო. ბედნიერი ბილეთის მფლობელები სანჩეზების ოჯახის წევრები არიან.

„საქართველოს რესპუბლიკა“ – ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ თვითმფრინავებში.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 33, ხუთშაბათი, 6 თებერვალი, 2003 წელი.

აღმასრულებელი ხელისუფლება მუშაობს

ქვეყნის წარსული და მომავალი გვავალდებულებს

საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის ფაქტი რომ რეალობაა, ამას მთელი მსოფლიო აღიარებს, რაც ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ, აი ჩვენ, ჯერჯერობით, ნაკლებად გვაქვს გაცნობიერებული ის აზრი, რომ ეს სინამდვილე ქცევის გარკვეული წესების დაცვას გვავალდებულებს. ამიტომ არის, რომ თვით სოლიდურაბრებიან დაწესებულებებშიც კი, დროდადრო, ისეთი აურზაური და ერთმანეთის წინაპართა აუგად მოხსენიების შადრევანი ამოხეთქავს ხოლმე, რომ სირცხვილით ერთმანეთს თვალს ვეღარ ვუსწორებთ. მით უმეტეს, რომ გუშინდელ მეგობრებსა და თანამოაზრეებს შორის სრულიად უგვანო საქმის გარჩევის ინსპირატორად მუშტი-კრივის მონაწილეები სახელმწიფოს, ხელისუფლებას ასახელებენ.

ასეთი და სხვანაირი შეფერილობის მოვლენებით გასული კვირა მართლაც მდიდარი იყო, მაგრამ, 5 თებერვალს ქვეყნის პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის თავმჯდომარეობით ჩვეულებრივ საქმიან ატმოსფეროში გაიმართა მთავრობის მორიგი სხდომა, რომელსაც, სხვათა შორის, წინა დღით ტელევიზორის ეკრანიდან „ჩაშვებული“ „ხავერდოვანი რევოლუციის“ ორგანიზატორებიც ესწრებოდნენ. და, ამჯერად, თქვენ წარმოიდგინეთ, სულ სხვა რამეზე ლაპარაკობდნენ. ალბათ, კონსპირაციის მიზნით.

ვიდრე დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვას შეუდგებოდნენ, პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ბოლო დროს სულ უფრო აქტიური ხდება მეცნიერებათა აკადემიის როლი ქვეყნის ცხოვრებაში. მან დადებითად შეაფასა კომპიუტერიზაციის პროცესი, რომელიც საქართველოში სულ უფრო ყოვლისმომცველი ხდება. მაგალითად, იმერეთის რეგიონში ამ დღეებში შეიტანეს რვაასი კომპიუტერი, და მომავალში ეს ციფრი კიდევ უფრო გაიზრდება.

პირველ საკითხზე — „კავკასიის ალბანეთის მწერლობის ძეგლის აღმოჩენის, მისი გაშიფვრისა და მნიშვნელობის შესახებ“ ინფორმაცია წარმოადგინა ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ზაზა ალექსიძემ. მან, მართლაც, უაღრესად საინტერესო და მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენაზე ილაპარაკა. ეს ამბავი ჯერ კიდევ 1956 წელს დაიწყო, როდესაც სინას მთაზე წმინდა ეკატერინეს მონასტრის ერთ-ერთ სათავსში გაჩენილი ხანძრის ჩაქრობის შემდეგ იატაკი ჩაინგრა, იქ კი აღმოჩნდა 1100 ხელნაწერი და უამრავი ფრაგმენტი. ამ ხელნაწერთა შორის, როგორც ცნობილი გახდა გაცილებით გვიან, იყო ქართული ძეგლებიც, რომლებიც მანამდე სომხური ეგონათ. ახლადაღმოჩენილი ქართული კოლექცია შედგებოდა 141 ხელნაწერისა და ძალიან ბევრი ფრაგმენტისაგან. რა თქმა უნდა, ხელნაწერები შეიცავდა უნიკალურ ცნობებს საქართველოს ისტორიიდან, მაგალითად, ცნობებს რუსთაველთა და ბაგრატიონთა საგვარეულოების შესახებ. მაგრამ მსოფლიო მნიშვნელობის სენსაცია იყო ის, რომ აქ დაცული პალიმფსესტების ანუ ორჯერ დაწერილი ხელნაწერების პირვანდელი ტექსტი ალბანური დამწერლობის ძეგლი აღმოჩნდა.

ამ აღმოჩენის უდიდესი მნიშვნელობა ის იყო, რომ აქამდე არსებული ალბანური ტექსტების გაშიფვრა ვერ ხერხდებოდა. საერთოდ, ამ ხალხის კულტურული მემკვიდრეობა თითქმის შეუსწავლელია იმის გამო, რომ შესაბამისი ძეგლები არ არსებობდა. არადა, ალბანეთი ჩვენი მეზობელი სახელმწიფო იყო ადრე შუა საუკუნეებში და მას ფრიად მდიდარი ისტორია და კულტურა ჰქონდა. ამჯერად, მეცნიერებს, კერძოდ კი, ბატონ ზაზა ალექსიძეს გაუმართლა და მან მოახერხა ზოგიერთი ტექსტის გაშიფვრა. ანბანის უმეტესი ნაწილიც დაადგინა, რამაც საშუალება მისცა მას ეთქვა მთავრობის სხდომაზე: „უკვე მეტი სიზუსტით შეგვეძლება ვილაპარაკოთ ალბანეთის სახელმწიფოს რაობის, განვითარების დონის, მისი ტერიტორიული ფარგლების, რელიგიის, ეთნიკური და ენობრივი სიტუაციისა და სხვა დღეისათვის უაღრესად მწვავე პრობლემების შესახებ. უკვე დღეს შეგვიძლია უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ სამხრეთ კავკასიაში პოლიტიკურ და კულტურულ ძალთა ბალანსი ადრეულ შუა საუკუნეებში“.

ამ საკითხზე მსჯელობისას პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ახლა საჭიროა თანამედროვე დონეზე გავაცნობიეროთ ის პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია მეცნიერებასთან. ამათგან განსაკუთრებით აქტუალურია მეცნიერებათა აკადემიის სოციალური დაცვა. როცა ამ თემაზე ვლაპარაკობთ, თქვა მან, მხედველობაში გვაქვს საკითხთა უფრო ფართო სპექტრი, კერძოდ, ის, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტის შემთხვევაში გაჩნდება ისეთი ამოუწურავი რეზერვის ამოქმედების შესაძლებლობა, როგორიც არის ახალგაზრდობის ჩაბმა მეცნიერულ საქმიანობაში. ეს კი, თავის მხრივ, სხვა პერსპექტივებს დაგვისახავს. მაგალითად, ბოლო დროს რეალურად განიხილება საქართველოს ნატოში გაწევრიანების საკითხი. ეს განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს ჩვენს მეცნიერებას. ედუარდ შევარდნაძემ მადლობა გადაუხადა მეცნიერებს გაწეული მუშაობისათვის და აღნიშნა, რომ მეცნიერებასთან დაკავშირებული საკითხების მთავრობის სხდომებზე განხილვა ბუნებრივი პროცესია და იგი მომავალშიც გაგრძელდება. ინტერესი განხილული საკითხისადმი ძალიან დიდია, და ეს ასეც უნდა იყოს, რადგან ალბანელებთან უშუალო ურთიერთობა ჰქონდათ ჩვენს უახლოეს მეზობლებს — აზერბაიჯანელებსა და სომხებს.

პრეზიდენტმა გულისტკივილით განაცხადა, რომ ხელნაწერთა ინსტიტუტს დაუფინანსებლობის გამო ძალიან უჭირს და აქ მომუშავე მეცნიერებს უხდებათ ყურადღების გადატანა ყოფით პრობლემებზე. ედუარდ შევარდნაძეს მიაჩნია, რომ უცხოეთიდან დახმარება განსაკუთრებით დიდი იქნებოდა, რომ არ ჩაგვეშალა სპეციალური გამოფენა ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩვენი უსაშველო პროვინციალიზმის გამო. შესაძლებლობები დიდია, საჭიროა მხოლოდ დროზე დავინახოთ ისინი და გამოვიყენოთ. მაშინ ხელნაწერთა ინსტიტუტსაც და სხვა სამეცნიერო დაწესებულებებსაც უფრო კარგად მივხედავთ.

სხდომაზე განიხილეს და მოიწონეს იუსტიციის მინისტრის როლანდ გილიგაშვილის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტები: „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში დამატების შეტანის თაობაზე“ და „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“. როგორც მან აღნიშნა, ამ კანონპროექტების მიღების აუცილებლობა გამოწვეულია იმით, რომ დაწესდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საწარმოს ხელოვნურ გაკოტრებამდე მიყვანისათვის. კერძოდ, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, სისხლის სამართლის კოდექსს ემატება ახალი 220 პრიმა მუხლი, რომლის მიხედვით სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებად განისაზღვრება საწარმოში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება ამ საწარმოს კანონიერი ინტერესების საწინააღმდეგოდ.

რაც შეეხება მეორე კანონპროექტს, იგი, ძირითადად, ეხება მსჯავრდებულთა და პატიმართა სამედიცინო მომსახურების საკითხებს, რადგან შესაბამისი კანონის მეცხრე თავის დებულებები სრულყოფილად ვერ აწესრიგებენ ამ მომსახურების ორგანიზაციულ საკითხებს.

სხდომაზე განიხილეს და მოიწონეს პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტი „საქართველოს ნიადაგების დაცვისა და ნაყოფიერების ამაღლების სახელმწიფო პროგრამის შესახებ“, რომელიც წარმოადგინა სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის მოადგილემ ნუგზარ მამალაძემ. ეს ბრძანებულება, ფაქტობრივად, წარმოადგენს სახელმწიფო პროგრამას, რომელშიც მოცემულია საქართველოს ნიადაგების დღევანდელი მდგომარეობა, ამ სფეროში არსებული პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები.

ამით სხდომის დღის წესრიგი ამოიწურა.

ბოლოს შინაგან საქმეთა მინისტრმა კობა ნარჩემაშვილმა მთავრობას წარუდგინა ინფორმაცია 3 თებერვალს პოლიტიკური პარტიის „ახალი მემარჯვენეების“ ოფისში მომხდარი ინციდენტის თაობაზე. მან კატეგორიულად უარყო, რომ ამ მოვლენის უკან რაიმე ფორმით იდგა საქართველოს ხელისუფლების რომელიმე სტრუქტურა. პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ სინანული გამოთქვა მომხდარის გამო და მოითხოვა საქმის დროული გამოძიება, რათა დამნაშავეები დაისაჯონ. შესაბამის სტრუქტურებს და დედაქალაქის მერს დაევალათ, ყველაფერი იღონონ ქალაქში წესრიგის დასამყარებლად. დასადგენია აგრეთვე, თუ ვინ შეუწყო ხელი ჭორის გავრცელებას იმის შესახებ, რომ სახელმწიფო მინისტრის ავთანდილ ჯორბენაძის სახლში გაიმართა პრეზიდენტის გარემოცვის პირთა შეკრება ქვეყნის ახლანდელი მეთაურის შეცვლის მიზნით.

ამასთან დაკავშირებით ავთანდილ ჯორბენაძემ წამოაყენა წინადადება, შეიქმნას საზოგადოებრივი კომისია, რომელიც გამოწვლილვით შეისწავლის ამ საკითხს და ყველაფერს თავის სახელს დაარქმევს.

ედუარდ შევარდნაძემ მოიწონა ეს წინადადება და განაცხადა, რომ დროა აღიკვეთოს სამარცხვინო ჭორების გავრცელება. ქვეყნის პრეზიდენტმა გენე-რალურ პროკურორს ამ ფაქტის შესწავლა და ინფორმაციის წარმოდგენა დაავალა.

თენგიზ გრიგალაშვილი,
საქინფორმის კორ.

გულისთქმა

Tqven dgexarT, ideqiT da idgebiT
misiis Tqvenis sabolood aRsrulebamde!

პირველი გვერდიდან

მერე და არ იკითხავთ, რა რისხვითა და ანათემით?

დიახ, თქვენზე... თქვენზე იყრის თავს, თქვენზე ფიქსირდება ეს ფორმა და შინაარსის ერთ მასად ქცეული გამოუთქმელი რისხვა, შენი სამშობლოისა, თუ მსოფლიო შავთაგან შენზე დანთხეული...

და არავინ ამათგანი არ იკითხავს, თუ ის, რაც მათ ასე სჭირთ და ამ ყოფაში აგდებთ, დროთა რა ბრუნვის, რა კანონ-მიზეზგარდუვალობითაა აღძრული? დრო და სივრცის რა კანონიკური მდგომარეობაა? სიცოცხლის ყოფიერების რა კულმინაციური კაცმონატრებულობის ზღვარი, — ან რა საწყის დროის მობრუნების გარდუვალი ძალია იგი? სიცარიელის რა შივა, ათასწლეულის ბოლოს ცოდვის ეშვად ამოზრდილი? ყოველგვარ შეკავება-ახსნილი, მისი ხარბი "მინდა" რომ დაუკმაყოფილებელია. მის მინდა-ნდომას რომ არავინ აკმავებს, არ აღავსებს, „კუთვნადს“, ნდომილს არ აძლევს, უკავებს!

რა არის ამის მიზეზი... ვინ არი ამის მოქმედი? ეს ამათ არ აინტერესებთ!

მათი გონისმიერი თუ უგონო აღქმით: „რა თქმა უნდა, თქვენ“, „რა თქმა უნდა, თქვენი ბრალია“.

შენზედ მოდიან და შენი ურყეობის ციტადელს ეხეთქებიან, თქვენი აუღებლობის ციხეს ასკდებიან...

თქვენ კი დგეხართ და მაინც დგეხართ, გესვრიან, და — „არა“, გაფეთქებენ და — „არა“, გთხრიან და — „არა“, გჭრიან და — „არა“. „არა, არა, არა და არა!“

მაშინ კი ბოღმა-რისხვების ამათი ძალის საზომი შკალა ვეღარ ზღავს, ვეღარ წვდება, ვეღარ ზომავს ამათი რისხვების ხარისხს.

თქვენ დგეხართ არცთუ ისე უღონოდ, როგორც ვინმე თვითმარქვია „რჩეულებს“ უნდათ.

თქვენ დგეხართ და არც თუ ისე ულიმლამოდ, როგორც ცუდ მოსურნე მარღიებს სურთ. არც თუ ისე უძალოდ, როგორც მტერს ნებავს.

დგეხართ არც თუ ისე სუსტად, როგორც ბევრს და მრავალს ენატრება.

და იცით, ვისით და რატომ დგეხართ და იდგებით?

დიახ, იცით!

და უფრო ღრმად რომ მოიმხრობთ, მოიმხნობთ, — რამაც და ვინც დაგაკისრათ ეს ჯვარცმის უსასტიკესი უღელი, გითქვამთ და იტყვით: „იყოს ნება, შენი!“ „იყოს ნება შენი!“ „იყოს ნება შენი!“.

იტყვით და მე გეტყვით: „ამინ“!

ვერცა ვისმეს აუხსნით, ვერცა ვისმე გააგებინებთ, ვერც ვისმეს შეასმენთ, ვერც ვისმეს გაენდობით იმას, რასაც ესენი ყბააგდებით თქვენს „იდუმალ პოლიტიკას“ ეძახიან.

ვერ გაანდობთ, რომ აღესრულება ნება ღვთისა, ნება გარდუვალი - აუცილებელი!

ქრისტეს ენერგიაა ის, რომელიც თქვენ გაიძულებთ, იყოთ ცხოველმოქმედი, იყოთ აქტიური მნებელი, მომთხოვნი — გიყვარდეთ! გიყვარდეთ! გიყვარდეთ!

გახსოვდეს შენი ყინულური მყოფობაც, როგორც „მამათის“ აჩრდილური სული მყინვარისი...

იგი, უფალმა ყმაწვილობის მაჩვენა წლებში და დამავალა შენთან დროში მიმოქცეობა...

და შენი გვარიც იმ განგებით, სიყრმიდან მომცა, გორის სულად და კაცურ მდგრადად დანაგულები...

და ვისურვებდი, რომ ამიხდეს ყრმობის სიზმარი, ისე, იმგვარად, როგორც ადრე ამსრულებია...

პირველად ვამხელ, იმ გაუმხელს, უფლის განგებით, შენს ბედთან ღმერთმა რომ მიმაბა ყმაწვილობიდან...

და უფალს შევთხოვ: არ გატეხოს თმინება შენი, რომ დიდ წარღვნაში ღვთისკაცობით მაცილს აჯობო!

ეს ჩემი ლოცვა ხელაღებით გადმოდის შენზე, — იყავი მისი სმენადობით შენ მიმღებელი!..

ამინ!

საუფლო პატივით,
კობა გურული.
დელისიძე.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 3 თებერვალი ქ. თბილისი

შოთა გამყრელიძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

მარნეულის რაიონის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის, ნაყოფიერი ორგანიზაციული და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის სააქციო საზოგადოება „მარნეულგაზის“ დირექტორი შოთა გამყრელიძე დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ედუარდ შევარდნაძე.

თარიღი

საფრანგეთი-გერმანია: ურთიერთგაგების შესანიშნავი მაგალითი

საქართველოში საფრანგეთის ელჩის მირეი მიუსოსა და გერმანიის ელჩის უვე შრამის თაოსნობით, ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიხსნა გამოფენა, რომელიც ელისეის ხელშეკრულების მე-40 წლისთავს მიეძღვნა. ექსპოზიციაზე ყველა იმ მნიშვნელოვანი დოკუმენტის ასლი (პლაკატების სახით) გამოიფინა, რომელიც ამ ისტორიულ თარიღს უკავშირდება.

ხელშეკრულებას, რომელმაც საბოლოოდ განამტკიცა საფრანგეთ-გერმანიის შერიგება და საფუძველი ჩაუყარა მშვიდობას ევროპაში, ხელი მოაწერეს გენერალმა შარლ დე გოლმა და კანცლერმა კონრად ადენაუერმა 1963 წლის 22 იანვარს, პარიზში. სწორედ აქედან დაიწყო ორ ქვეყანას შორის უპრეცედენტო თანამშრომლობის ეპოქა. აღსანიშნავია, რომ მის საფუძველზე შეიქმნა ახალგაზრდობის საქმეთა ფრანგულ-გერმანული ოფისი, ფრანგულ-გერმანული კულტურის უმაღლესი საბჭო, ფრანგულ-გერმანული უნივერსიტეტი, სატელევიზიო არხი „არტე“ და სხვა.

ხელშეკრულების მე-40 წლისთავის აღსანიშნავად, მთელს მსოფლიოში საფრანგეთისა და გერმანიის საკონსულოს წარმომადგენლობებმა მოაწყვეს სხვადასხვა საზეიმო ღონისძიება, რომელმაც საფრანგეთ-გერმანიის წარმატებული და სამაგალითო თანამშრომლობა წარმოაჩინა.

— ჩვენ, ფრანგები და გერმანელები ვეწინააღმდეგებით ტოტალიტარიზმს. სწორედ ამიტომ, საფრანგეთმა გამოთქვა სურვილი, რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ მიიღოს კონვენცია, იუნესკოს ფარგლებში, კულტურული მრავალფეროვნების შესახებ, ვიმედოვნებთ ქართველების მხარდაჭერასაც, — თქვა საფრანგეთის ელჩმა საქართველოში მირეი მიუსომ.

ელისეის ხელშეკრულება, არსებობიდან 40 წლის შემდეგაც, რჩება თანამედროვე და მომავლის გზამკვლევ ხელშეკრულებად, მისი აღნიშვნა მხოლოდ წარსულზე თვალის გადავლება როდია... ადრე დაპირისპირებული ერები დღეს შესაშური ურთიერთობის მაგალითს იძლევიან, რაც ისტორიულად და რეალურადაც, ამ ღონისძიებამ აშკარად დაადასტურა.

ლელა დონაძე.

სურათზე: საფრანგეთისა და გერმანიის ელჩები საქართველოში მირეი მიუსო და უვე შრამი.

ჯემალ კასრაძის ფოტო.

რეგიონი

ედუარდ შევარდნაძე: „იმერეთში ბევრი რამ ისეთი ვნახე, რამაც ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა“

პირველი გვერდიდან

ქუთაისში საქართველოს პრეზიდენტი ბავშვთა სოფელ „ქუთაისს“ ეწვია, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტისა და კერძო ინვესტორთა სახსრებითაა ამენებული. აქ ბავშვებისათვის სწავლის, შრომისა და დასვენებისათვის საუკეთესო პირობებია შექმნილი.

ქუთაისის რამდენიმე განახლებული პროსპექტისა და ქუჩის დათვალიერების შემდეგ პრეზიდენტმა მონაწილეობა მიიღო პროექტის „ინტერნეტის ხიდი „დიდი აბრეშუმის გზაზე“ საქართველოს ახალგაზრდობისათვის“ პრეზენტაციაში, რომელსაც ინფორმატიზაციის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით თარხან-მოურავი ხელმძღვანელობს. ამ დღეს ქუთაისში 800 კომპიუტერი ჩამოიტანეს, ერთ ამდენს ახლო მომავალში ელოდებიან და ისინი, ძირითადად, გამოყენებული იქნება განათლების სფეროში. გარდა ამისა, ახალი თანამედროვე ტექნიკით აღიჭურვება რამდენიმე მნიშვნელოვანი უწყება, რაც დიდად შეუწყობს ხელს მათი მუშაობის საჯაროობას. ამასთან დაკავშირებით, ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ, დიდი მნიშვნელობა აქვს კომპიუტერული ტექნიკის საბაჟო სამსახურში ფართოდ დამკვიდრებას, რაც, მავანთა წინააღმდეგობის მიუხედავად, ამ სამსახურის საქმიანობას გამჭვირვალეს გახდის და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებულად საგულისხმო მომენტად იქცევა.

იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციაში საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ხელოვნების მუშაკებსა და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულ პოლიციელთა ოჯახებს გადასცა სახელმწიფოს უმაღლესი ჯილდოები — ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენები.

სამხარეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელობასთან გამართულ შეხვედრაზე, გამოვიდა იმერეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებული თეიმურაზ შაშიაშვილი, რომელმაც განსაკუთრებით აღნიშნა ის გარემოება, რომ პრეზიდენტის საიუბილეო წელს ქვეყნის რეგიონებში ეს მისი პირველი გასვლაა და იგი სწორედ იმერეთს ეწვია. პრეზიდენტის რწმუნებულმა ვრცლად ილაპარაკა მხარის ჭირვარამზე, მიღწეულ შედეგებსა და სამომავლო გეგმებზე, არსებულ პრობლემებსა და მათი გადასაწყვეტად საჭირო დახმარების თაობაზე. შეხვედრაზე გამოვიდნენ სამხარეო ადმინისტრაციის სხვადასხვა სამსახურის, აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის წარმომადგენლები, რაიონების გამგებლები, ქუთაისის მერი და საკრებულოს თავმჯდომარე.

შეხვედრაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ.

თავის გამოსვლაში სახელმწიფოს მეთაურმა მადლობა გადაუხადა გამომსვლელებს სახელმწიფო კურსის მხარდაჭერისათვის, კონსტრუქციულ წინადადებათა და მოსაზრებათა გამოთქმისათვის. „გამომსვლელთა მიერ წამოყენებულ ყველა პრობლემაზე რომ შევჩერდე, ძალზე დიდხანს მომიწევს ლაპარაკი, ამიტომ თქვენს ყურადღებას მხოლოდ უმნიშვნელოვანეს საკითხებს მივაპყრობ“,— თქვა ედუარდ შევარდნაძემ.

უპირველეს ყოვლისა, საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ხანმოკლე ვიზიტისას ძნელია მხარის წინაშე მდგარ ყველა პრობლემაში სათანადოდ გარკვევა და, მით უმეტეს, გადაწყვეტა და გამოხატა თავისი გულისტკივილი იმ უბედურების გამო, რომელიც იმერეთს სტიქიამ მოუტანა. ედუარდ შევარდნაძემ ხაზი გაუსვა, რომ სხვა შესაძლებლობებთან ერთად აუცილებლად განიხილავს პრეზიდენტის ფონდიდან სტიქიით დაზარალებული მოსახლეობისათვის საჭირო დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობას.

„ბევრი რამ იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ ვიმუშავებთ მიმდინარე წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესრულებაზე“,— აღნიშნა ქვეყნის მეთაურმა და დასძინა, რომ ამ მხრივ რეგიონში ძალზე დიდი პოტენციალია. ამავე დროს ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ეს საკითხი გასათვალისწინებელია არა მარტო იმერეთში, არამედ ქვეყნის სხვა რეგიონებშიც და, ფაქტობრივად, მიმდინარე წლის ბიუჯეტის შემოსავლის 20-25 პროცენტით გაზრდა სავსებით შესაძლებელია.

თავის სიტყვაში საქართველოს პრეზიდენტმა საგანგებოდ აღნიშნა ის გარემოება, რომ ამჟამად ფარულ ეკონომიკაში სახსრების 30-35 პროცენტი ბრუნავს, რომელიც ბიუჯეტში უნდა შედიოდეს. მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცენტული მაჩვენებელი ნაკლებია წინა წლებთან შედარებით, საჭიროა დიდი ძალისხმევა და, რაც მთავარია, კეთილსინდისიერი მუშაობა, ამ პოტენციალის ერის საკეთილდღეოდ გამოყენებისათვის.

„იმერეთში ბევრი რამ ისეთი ვნახე, რამაც ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ქუთაისის ბავშვთა ქალაქი. მე ვოცნებობ, რომ ასეთი ქალაქები ყველა რეგიონში ყოფილიყოს. სამწუხაროდ, უამრავი უპატრონო ბავშვია და ვიდრე თუნდაც ერთი პატარა იქნება ქუჩის ამარა, არც ერთ ჩვენგანს მშვიდად ყოფნის უფლება არა გვაქვს“, — თქვა ედუარდ შევარდნაძემ და შეხვედრის მონაწილეთა ყურადღება მიაპყრო ამ პრობლემის უდიდეს ზნეობრივ მხარეს.

შეეხო რა გამომსვლელთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს, საქართველოს პრეზიდენტმა გაიზიარა აზრი, რომ რაიონების გამგებლებთან და საკრებულოთა თავმჯდომარეებთან სისტემატური შეხვედრები არსებული პრობლემების გადაწყვეტაში პოზიტიური ფაქტორი იქნება.

ედუარდ შევარდნაძე კონკრეტულად შეეხო რეგიონის წინაშე მდგარ ეკონომიკურ, სამრეწველო და სხვა პრობლემებს და აღნი- [illegible]

დრის მონაწილეთა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო იმერეთში ვაზის კულტურის, მეღვინეობის დარგის აღორძინების მნიშვნელობასა და პერსპექტივებს, აღნიშნა, რომ ქუთაისში განახლებულ პროსპექტებზე განხორციელებული სამუშაოები მაღალი დონისაა, ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ კეთილმოწყობილ გზებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში ტურიზმის სფეროს განვითარებისათვის.

„კარგი გზების გარეშე საქართველო ვერასოდეს გახდება ქვეყანა, სადაც ტურიზმი მასობრივად უნდა განვითარდეს“,— თქვა ედუარდ შევარდნაძემ.

საქართველოს პრეზიდენტი საგანგებოდ შეეხო მოსახლეობის ელექტროენერგიით მომსახურების საქმეში გამრიცხველიანების საკითხს და ამასთან დაკავშირებით არსებულ სოციალურ პრობლემებს.

თავის გამოსვლაში მან თქვა, რომ ინფორმატიკის სფეროში არის წინსვლა, და განსაკუთრებით აღნიშნა, თუ რა უდიდესი პრაქტიკული და ზნეობრივი მნიშვნელობა აქვს ამას ერის მომავლისათვის. ამ სა- [illegible]

ნვითარების პრობლემებზე და აღნიშნა, რომ მათ გადაწყვეტაში ადგილებზე ყველა დონის ხელმძღვანელი უნდა ზრუნავდეს.

„ამ სფეროში დიდძალი გამოუყენებელი რესურსია, რომლებსაც სათანადო გამოყენება უნდა. კერძოდ, ხაზი მინდა გავუსვა იმას, რომ იწყება მეტალურგიის აღორძინება,— თქვა ქვეყნის პრეზიდენტმა.— პირველი ეტაპი იყო საქართველოში ამ დარგის შექმნა, ხოლო ახლა, ბატონ ირაკლი ჟორდანიას ძალისხმევით მოიძებნენ ინვესტორები, რომლებიც ხელს შეუწყობენ რუსთავის მეტალურგიული კომბინატის აღორძინებას“.

ედუარდ შევარდნაძემ დადებითად შეაფასა იმერეთის მხარეში დანერგილი პრაქტიკა, როცა რაიონის გამგებელთა დანიშვნის რეკომენდაციას მხარეში მის რწმუნებულს სამეცნიერო საბჭო აძლევს.

„მიმაჩნია, რომ უნდა შევქმნათ მთელი სისტემა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება არა მარტო სამეცნიერო საბჭოების დასკვნები, არამედ გამგებელთა მომზადებისა და გადამზადების საკითხს სრულყოფილად მოაგვარებს. [illegible]

ლი წლის განმავლობაში მიღწეულ ეკონომიკურ შედეგებს და აღნიშნა, რომ ბოლო წლების მანძილზე მიღწეულია წინსვლა.

პრეზიდენტმა განსაკუთრებულად აღნიშნა, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისათვის ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილურობას, აგრეთვე იმ სტანდარტებს, რომლებსაც საქართველო უნდა შესაბამებოდეს, რათა ნატოს ნამდვილი სრულფასოვანი წევრი გახდეს.

„პრაღის სამიტზე ნატოს გენერალურმა მდივანმა გადმომცა ნუსხა, რომელშიც აღნიშნულია, თუ რა სტანდარტებს უნდა უპასუხებდეს ქვეყანა, რომ იგი ამ ორგანიზაციის წევრი გახდეს. ამ ნუსხის გაცნობის შემდეგ ვიფიქრე, რომ მიზნის მისაღწევად სამი წელიწადი დაგვჭირდება,— თქვა ედუარდ შევარდნაძემ.— ნატო ჩვენი მშვიდობის გარანტიაა და საგანგებოდ აღვნიშნავთ, რომ აფხაზეთის პრობლემასთან დაკავშირებულ წუხილს სავსებით ვიზიარებ. მეტსაც გეტყვით: ყველაზე მეტად შეწუხებული და შეშფოთებული ვარ, ვინაიდან თუკი ამა- [illegible]

თხებზე, რომლებიც სათანადოდ დადასტურებულია. „არ გამოვრიცხავ, რომ მოვა დრო, ქართველთა გენოციდისათვის და ეთნიკური წმენდისათვის ნამდვილ დამნაშავეებს პასუხი მოეთხოვებათ. მხოლოდ ერთ რამეში არ დაგეთანხმებით — თითქოს საქართველოს ხელისუფლება შეეჩვია არსებულ ვითარებას და ყველაფერს გულგრილად უყურებს. ეს ასე არ არის, რის დასტურად დავასახელებ ჩემს ორ ვრცელ გამოსვლას გაეროს უშიშროების საბჭოს წინაშე, რომელშიც ასახულია ეთნიკური წმენდა. ეს არის გენოციდი, რომლის ჩამდენი რეჟიმი არ შეიძლება დაუსჯელი დარჩეს“,— თქვა ედუარდ შევარდნაძემ.

საქართველოს პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა საქართველოსთან ნატოს მოახლოების უდიდეს მნიშვნელობას, რაც აფხაზეთში დაბრუნების უფრო მეტ გარანტიას მოგვცემს.

„თუმცა, ნურც ის დაგვავიწყდება, რომ რუსეთის პრინციპული გადაწყვეტილების გარეშე, აფხაზეთის პრობლემის მოგვარება შეუძლებელია, ვინაიდან იგი გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრია და ვეტოს უფლება აქვს. ამას მარტო დამსწრეთა საყურადღებოდ არ ვამბობ: საქართველოს არც ის მთავრობა ჰყავს და არც ის პრეზიდენტი, რომლებიც აფხაზეთის პრობლემისადმი გულგრილი არიან“,— თქვა ედუარდ შევარდნაძემ.

შემდეგ სახელმწიფოს მეთაური შეეხო მომავალი პარლამენტის არჩევნების საკითხს, ილაპარაკა ამასთან დაკავშირებულ მთელ რიგ პრობლემებზე და აღნიშნა, რომ გამორიცხული არ არის ასპარეზზე გამოჩნდნენ სხვადასხვა ჯურის დემაგოგები, რისთვისაც საზოგადოებრიობა მზად უნდა იყოს, რათა ყოველივე ჯეროვნად შეაფასოს. იგი ასევე შეეხო პარლამენტის სამომავლო სტრუქტურის, კერძოდ, მისი ორპალატიანი მოწყობის საკითხს.

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხზე — მძიმე კრიმინოგენურ ვითარებაზე — ედუარდ შევარდნაძემ გამოსვლის ბოლოს ილაპარაკა.

„სიმართლე გითხრათ, ამასთან დაკავშირებით დღეს უფრო მწვავე გამოსვლებს ველოდი. იმის მოთმენა, რაც დღეს საქართველოში ხდება, რასაც კრიმინალების შემოტევა ჰქვია, შეუძლებელია. ამ მხრივ სრულიად საქართველომ, კერძოდ, იმერეთმა, უმძიმესი გზა გამოიარა და ამის გამეორებას არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებთ“,— თქვა საქართველოს პრეზიდენტმა.

საქინფორმი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

სულიერება

პირველი გვერდიდან

ჭეშმარიტების შენიღბვა შეუძლებელია

ნიშანდობლივია, რომ სიყვარულის უნარით განსაკუთრებულად დაჯილდოებული იოანე ღმრთისმეტყველი მათთვის სალამის მიცემასაც კი გვიკრძალავდა: „რომელი მოვიდოდეს თქუენდა და ესე მოძღურებაი არა მოაქუნდეს, ნუ შეიწყნარებთ მას სახლთა თქუენთა და „გიხაროდენ“ ნუ ეტყვით მას“ (II იოვან. 1,10). ხოლო პავლე მოციქული შეჩვენებას უგზავნის ყველას, თუნდაც ის ზეცით მოსული ანგელოზი ყოფილიყო, რომელიც გაბედავდა და ქრისტეს მოძღვრებას ხალხისთვის სხვაგვარად სწავლებას შეეცდებოდა: „არამედ დაღათუ ჩუენ, გინა თუ ანგელოზი ზეცით გახარებდეს თქუენ გარეშე მისსა, რომელი გახარეთ თქუენ, შეჩუენებულ იყავნ“ (გალატ.1,8). რა თქმა უნდა, მოძღვრების სიწმინდის შელახვა ანგელოზისაგან გამორიცხულია და ეს მოციქულს ჩვენზე კარგად მოეხსენებოდა. ანგელოზის ხსენება ამ კონტექსტში მხოლოდ ხერხია, რომელსაც იგი იმისთვის იყენებს, რომ გვაგრძნობინოს, რა დიდად სცოდავენ ისინი, რომელნიც ღმრთის მიერ განცხადებული ჭეშმარიტების დარღვევას ცდილობენ.

ამგვარი ამპარტავნებით შეპყრობილებს, რომელთაც კადნიერება ყოფნით იფიქრონ, რომ ისინი უკეთ შეიცნობენ ღმრთის შეცნობის გზებს, ვიდრე ეს თავად მაცხოვარმა გვასწავლა, ეკლესიამ ერეტიკოსები უწოდა. ეს სახელწოდება ნაწარმოებია ბერძნული ზმნიდან „ჰაირეო“, რომელიც მიტაცებას, მითვისებას, არჩევას ნიშნავს და მართლაც შეეფერება მათ, რომელნიც ღმრთის შეცნობის თვითნებურად არჩეულ გზას ერთადერთად მიიჩნევენ და ამგვარად „სიმართლის მლაღადებლის“ პატივსაც იტაცებენ. ჩვენი წინაპრები კი მათ „მწვალებლებს“ უწოდებდნენ, რომელიც იმ შედეგზე მიუთითებს, რაც ზემოხსენებულ ამპარტავნულ არჩევანსა და მიტაცებას მოჰყვება. ეს ტერმინი მომდინარეობს სიტყვიდან „განწვალება“, რომელიც ძველ ქართულში გაყოფას, განშორებას, განხეთქილებას ნიშნავდა. მაშასადამე, მწვალებლები არიან ისინი, რომელთაც სწავლებაში სიახლის შეტანით ეკლესიაში განხეთქილება შეაქვთ და საკუთარი ნებით გამოეყოფიან მას.

სამშობლოს დაცვა იმას შეუძლია, ვისაც იგი უყვარს. ასევეა სარწმუნოებაც. მისი დაცვისთვის აუცილებელია სიყვარული ღმრთისა „ყოველთა გულითა, სულითა და გონებითა.“ ასე უყვარდათ იგი ჩვენს წინაპრებს და ამიტომ ათასნაირი განსაცდელის მიუხედავად ჭეშმარიტი სარწმუნოება არ დაკარგეს, მტრებმა იგი მას ვერც ძალით წაართვეს და ვერც ერეტიკული სწავლებებით შეუმღვრიეს. ჩვენს ქვეყანაში ათეისტური იდეოლოგიის მრავალწლიანმა ბატონობამ, ბუნებრივია, საზოგადოების დიდი ნაწილი სარწმუნოებისა და მისი მოძღვრების მიმართ გულგრილი გახადა. ამიტომაც დატოვა მან უყურადღებოდ ზ. გამსახურდიას რელიგიური მრწამსი, რომელიც აუცილებლად ყურადღების მისაქცევი და გამოსამზეურებელი იყო, მით უმეტეს, რომ გამსახურდია ყოველთვის ცდილობდა საზოგადოებისთვის თავი დიდ ქრისტიანად წარმოედგინა.

სანამ გამსახურდიას ქრისტიანული რელიგიის და ეკლესიისათვის თავდადებულ მოღვაწედ წარმოჩენას საერო გაზეთები ცდილობდნენ, ვდუმდით იმის შიშით, რომ ისედაც დაპირისპირებულ საზოგადოებაში დაპირისპირების მუხტი კიდევ უფრო არ გაგვემძლიერებინა, მაგრამ როცა იმავეს დამტკიცებას ეკლესიის სახელით გამოსული გაზეთები ცდილობენ, ვფიქრობთ, გაჩუმება აღარ შეიძლება. უწინარესად მხედველობაში გვაქვს გაზეთი “მეტეხი” (№4, 2002).

პიროვნების რელიგიური მრწამსი ყველაზე ნათლად მის მიერ წერილობით გადმოცემულ ნააზრევში ჩანს. ვნახოთ, რას წერდა გამსახურდია თავის გამოკვლევებში და მერე ობიექტურმა მკითხველმა თვითონ განსაჯოს, იყო თუ არა იგი მარლმადიდებელი ქრისტიანი. წიგნში „საქართველოს ეროვნული მისსია“ (1990) ვკითხულობთ: „სამება - მამა, ძე და სულიწმიდა - მრავალი ასპექტით, მრავალსახოვნებით (?) ხასიათდება. ძის იპოსტასი, მეორე იპოსტასი მჟღავნდება სამების ე.წ. ღმერთმამაკაცურ ასპექტში, ხოლო სულიწმიდა მჟღავნდება სამების ფემინურ, მდედრობით ასპექტში, ანუ ღვთისმშობელში“ (გვ. 22). სხვაგან გრიგოლ ნოსელის ავტორიტეტს იშველიებს და არ ერიდება საქმეში ჩაუხედავი მკითხველის მოტყუებას, თითქოს სულიწმიდის ბუნების შესახებ მის მკრეხელურ შეხედულებას საფუძველი როგორც მთელ ქრისტიანულ ტრადიციაში, ისე, კერძოდ, ამ ცნობილი მამის სწავლებაში ჰქონდეს: „ქრისტიანული საღვთისმეტყველო ტრადიცია სულიწმიდის მდედრობითი ბუნების შესახებ განვითარდა კაპადოკიელი მამის, გრიგოლ ნოსელის მოძღვრებაში, რომელიც სულიწმიდას გვიხასიათებს როგორც ქალს, ღვთაებრივ დედას... სულიწმიდა, რომელიც გვიცხადებს ძე ღმერთს, განიხილება მის მიერ, როგორც „დედა იესოსი“ („ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“, 1991. გვ. 64-65).

უფრო მეტი მკრეხელობა შეუძლებელია. როგორც ვხედავთ, ყოვლადწმიდა სამების ერთ-ერთი წევრი – სულიწმიდა ღმერთი მდედრობითი ბუნების მქონე რაღაც არსებად, ქალად, იესოს ღვთაებრივ დედადაა წარმოდგენილი. ეს სხვა არაფერია, თუ არა ქრისტიანობით შენიღბული წარმართული სწავლება სამყაროს ორ – მამრობითსა და მდედრობით საწყისზე და მას არაფერი არ შეიძლება ჰქონდეს საერთო მართლმადიდებლური ქრისტიანობის სწავლებასთან ყოვლადწმიდა სამებაზე, როგორც ერთარსებასა და განუყოფელზე; „ღირს არს და მართალ თაყვანისცემა მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, სამებისა ერთარსებისა და განუყოფელისა“ – გვასწავლის წმ. ეკლესია და ეს დოგმატური სწავლება ყოვლადწმიდა სამებაზე იმ საფუძველს წარმოადგენს, რომელზეც მთელი ქრისტიანული მოძღვრებაა დაფუძნებული და, ამდენად, მისი ხელყოფა მთელი მოძღვრების ხელყოფასაც ნიშნავს. ნიშანდობლივია, რომ ამქვეყნიურ მიწიერ ეკლესიას მებრძოლი ეკლესია სწორედ იმიტომ ეწოდა, რომ მთელი მისი ისტორია გამოცხადებით ბოძებული ღვთაებრივი მოძღვრების სიწმიდის დაცვისათვის თავდადებული ბრძოლაა. მართალია, ამ თავგანწირული ბრძოლის წყალობით ცხადმა თუ ფარულმა მტრებმა ჭეშმარიტი მოძღვრების სრულ გაქრობას დედამიწაზე ვერ მიაღწიეს, მაგრამ ეკლესიისათვის დიდი ზიანის მიყენება მაინც შეძლეს. განსაკუთრებით ეს ითქმის დასავლეთის ეკლესიის ზოგიერთ მესვეურზე, რომლებმაც სწორედ სულიწმიდის შესახებ სწავლებაში სიახლის შეტანით, სახელდობრ, რომ იგი არა მხოლოდ მამისგან (როგორც ამას მართლმადიდებლური ეკლესია ასწავლის), არამედ ძისაგანაც გამოდის, XI საუკუნეში ერთიანი მსოფლიო ეკლესიის ორად გახლეჩა - დასავლეთის კათოლიკურ და აღმოსავლეთის მართლმადიდებლურ ეკლესიებად გაყოფა გამოიწვიეს.

ამჯერად ჩვენ მკითხველის ყურადღება ქრისტიანული მოძღვრების ძირითადი დოგმატის გამსახურდიასეულ ინტერპრეტაციაზე შევაჩერეთ, თორემ სარწმუნოებრივი ხასიათის ცდომილებებს მის ნაწერებში უხვად შეხვდებით.

რამდენადაც რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლება ადამიანს თავად უფალმა უბოძა, რა თქმა უნდა, გამსახურდიასაც ჰქონდა უფლება არა მართლმადიდებლური სარწმუნოების, არამედ შტაინერის ანთროპოსოფიის - წარმართობისა და ქრისტიანობის უცნაური ნაზავის მიმდევარი ყოფილიყო, მაგრამ, ბუნებრივია, არა გარეგნულად მართლმადიდებლობით შენიღბულისა.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ლოგიკურად ჩნდება კითხვა: რა საფუძველი აქვთ ექსპრეზიდენტის მიმდევრებს, როცა მისი, როგორც თავდადებულ, ლამის წმინდანის რანგში აყვანილ, მართლმადიდებელ მოღვაწედ წარმოდგენა სურთ?

ვფიქრობთ, თუ ისინი მართლაც მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმსარებელნი არიან და ექსპრეზიდენტისადმი გულწრფელი სიყვარული ამოძრავებთ, მისი სულისათვის უნდა ილოცონ და არა კიდევ უფრო დაამძიმონ იგი სრულიად გაუმართლებელი განდიდებითა და თაყვანისცემით.

ირაკლი მელიქიშვილი.

გაბრაზებულ გულზე

ÂÅÄËÄÛÀÐÉÓ ÌÖÝËÉÓ Ì×ÀÔÒÀÅÄÁÉ ÃÀ ÌÖÝËÉÈÌÄÆÙÀÐÒÄÁÉ

[illegible]

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 32.

ვახტანგ ხარჩილავა,
„ÌÀÒÈÀËÉ ÂÀÆÄÈÉÓ“ ÌÈÀÅÀÒÉ ÒÄÃÀØÔÏÒÉ.

(დასასრული იქნება).

მომხმარებელთა უფლებები ირღვევა!

(პირველი გვერდიდან)

ვიღაცა „კრიშით“ იმუქრება

ამასობაში თაგვმა დრო იხელთა და ტკბილეული შეახრამუნა

კერძოდ, რა უფლებებზეა ლაპარაკი?

კანონში ჩაწერილია, რომ „საქართველოში ყველა მომხმარებელს უფლება აქვს მოითხოვოს: საქონლის, სამუშაოს, სავაჭროს და სხვა სახის მომსახურების სტანდარტთან შესაბამისი ხარისხი; პროდუქციის უსაფრთხოება; სანდო ინფორმაცია პროდუქციის რაოდენობაზე, ხარისხსა და ასორტიმენტზე“ და ასე შემდეგ.

– იცოცხლეთ, მშვენიერი კანონია, მაგრამ საკითხავია, როგორ ვიყენებთ მას? – ვეკითხები საქართველოს მომხმარებელთა უფლებების დაცვის ასოციაციის პრეზიდენტს, პროფესორ აბესალომ მამულაშვილს.

– კანონი მართლაც კარგი გვაქვს, – **ადასტურებს ბატონი აბესალომი,** – მაგრამ მის ცხოვრებაში განხორციელებას უამრავი „წყალზედა და წყალქვეშა მეჩეჩი“ ეღობება. ვიდრე ბრჭყალებს გავხსნიდე, ერთ გარემოებას უნდა გავუსვა ხაზი. ტოტალიტარული რეჟიმის წლებში, მართალია, მომხმარებელთა უფლებებს სპეციალური კანონი არ იცავდა, მაგრამ ის როცა მაღაზიაში პროდუქტს იძენდა, გარანტირებული იყო, რომ მის ჯანმრთელობას საშიშროება არ ემუქრებოდა. ახლა კი, როცა სავაჭრო ქსელში კერძო მწარმოებელი შემოვიდა, ამ საშიშროებამ ყოველგვარ ზღვარს გადააცილა. ქუჩებში გაშლილ ბაზრობებს რომ თავი გავანებოთ, თვით კეთილმოწყობილ მაღაზიებშიც კი, რომელთა უმრავლესობას „სუპერმარკეტი“ აწერია, იყიდება უამრავი ფალსიფიცირებული, ვადაგასული, საკვებად უვარგისი პროდუქტი, რომლებიც მომხმარებლის ჯანმრთელობას საშიშროებას უქმნის. ამ მიზეზით არცთუ იშვიათია ადამიანთა მოწამვლის და სიკვდილის შემთხვევები.

– მაგრამ მომხმარებელს ხომ აქვს უფლება (ამ უფლებას კანონი იძლევა), მიიღოს ინფორმაცია: ვინ არის პროდუქციის მწარმოებელი, აქვს თუ არა ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატი, ხომ არ არის ვადაგასული და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძინოს პროდუქტი.

– რა თქმა უნდა, კანონით ამის უფლება ყველა მომხმარებელს აქვს, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში მან კანონი არ იცის, ან თუ იცის, მისი გამოყენების უფლებას სავაჭრო ობიექტის მეპატრონე არ აძლევს. სწორედ ამიტომ შეიქმნა ჩვენი ასოციაცია, რომ მომხმარებელი გაარკვიოს თავის უფლებებში, ხოლო მოვაჭრე აიძულოს, შეასრულოს კანონის მოთხოვნები.

– და „მეჩეჩებიც“ სწორედ ამ პროცესში წარმოიქმნება?

– ბატონო ოთარ, – **საუბარში ერთვება ამ ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი, პროფესორი ლევან ბაღდავაძე,** – ჩვენ, დღეს, სწორედ ამ პრობლემის გამო ვაპირებთ ზოგიერთ მაღაზიაში შესვლას. თუ შემოგვიერთდებით, საკუთარი თვალით ნახავთ, რა „მეჩეჩებზეა“ საუბარი.

შემოთავაზებას სიამოვნებით დავთანხმდი. გეზი დოლიძის 5 ნომერში მდებარე შპს „მარგისაკენ“ ავიღეთ.

– ამ მაღაზიაში ინფორმაციის მოსაპოვებლად შარშან აგვისტოშიც ვიყავით, – **ამბობს ასოციაციის ექსპერტი მადონა კოიძე** – მაგრამ მისმა მეპატრონე **მინდია სამადაშვილმა** სულ პანღურის კვრით გამოგვაძევა. ეს რომ მახსენდება, ახლაც სიმწრის ცეცხლი მეკიდება.

– ამისთანა რა ნახეთ მაღაზიაში?

– უარესი რა უნდა გვენახა, იყიდებოდა ვადაგასული, ჯანმრთელობისთვის საშიში ტორტი „ვოლშებნი ვკუს“, შოკოლადი „კიტკეტი“, დაჭრილი ძეხვი და სხვა მრავალი სახის საკვებად უვარგისი პროდუქტი. ამის მიუხედავად მაღაზიის ხელმძღვანელმა მუშაობის საშუალება არ მოგვცა, რითაც დაარღვია კანონი (მუხლი 4) „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“.

და აი, ასოციაციის ექსპერტები კვლავ ამ მაღაზიაში არიან. გამყიდველები მათ გამოძევებას ვეღარ ბედავენ, მაგრამ არც ვარდისფერ ხასიათზე არიან. არენაზე არ ჩანს მთავარი მოქმედი პირი მინდია სამადაშვილი – იგი კაბინეტში შეყუჟულა და ამჯერად საქმეში ჩარევას არ აპირებს.

არადა, როგორც ირკვევა, აგვისტოს შემდეგ აქ ვითარება არათუ გაუმჯობესდა, პირიქით, გაუარესდა კიდეც – მასობრივი „ხასიათი“ მიიღო ვადაგასული სასურსათო პროდუქტებით ვაჭრობამ. ამის დასტურია ყავლგასული ნამცხვარი „კრეკერი“, საბავშვო შოკოლადი „ჩუდო“, მიქოიანის ქარხნის მიერ გამოშვებული ძეხვეული და შამხი, რომელიც სიძველისგან უკვე გამწვანე[illegible] აგრეთ[illegible] მქონე [illegible] კატი და „აფხაზურა“, რომელსაც ვარდისფერის ნაცვლად შავი ფერი ედო. უქვითროდ იყიდებოდა ხორცი.

– დღედაღამ გარჯაში ვართ, ამდენს ვცდილობთ და როგორ წარმოვიდგენდით, რომ დახლზე ვადაგასული პროდუქტები გაგვეპარებოდა, – **ვიშვიშებენ გამყიდველები.** – ახლა რომ დაგვაჯარიმოთ, რა უნდა ვქნათ?

– ჩვენი მიზანი ჯარიმა კი არა, ის არის, რომ მომხმარებელი მავნე პროდუქტებისგან დავიცვათ, – **უხსნის ბატონი ლევანი,** – თქვენ კი ჩვენი ექსპერტები სამუშაოდ არ შემოუშვით. სამჯერ წერილიც დაგიტოვეს, გთხოვეს ერთმანეთთან გვეთანამშრომლა, მაგრამ პასუხი არ გვაღირსეთ. არადა, ასეთ თანამშრომლობას ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლია როგორც მომხმარებლისთვის, ასევე თქვენთვის. ჩვენთან ერთსაათიანი კონსულტაცია, რომელსაც ცნობილი მეცნიერები და ექსპერტები ატარებენ, სულ რაღაც 13-15 ლარი ჯდება, ბევრი მაღაზია კი ყოველკვირა 70-100 ლარის გაფუჭებულ პროდუქციას ყრის. ამდენ ზარალს არ სჯობს, ხელშეკრულება გავაფორმოთ, ერთად ვიმუშაოთ, მომხმარებლის ინტერესებიც დავიცვათ და თქვენიც. თქვენს მაღაზიას ურთიერთობა აქვს ერთი და იმავე მომხმარებელთან. ამიტომ დაინტერესებული უნდა იყოს, რომ მას საწამლავი არ მიჰყიდოს.

[illegible] რიგებას მიიღებს თუ არა მათი დირექტორი, არავინ უწყის.

თუმცა რა, აქ ისმენდნენ მაინც ასოციაციის ექსპერტთა რჩევებს. აი, მის გვერდით მდებარე შპს „სიმბაში“ კი მათ, საერთოდ, კარი გამოუხურეს და არ შეუშვეს.

– დღეს უამრავი აფერისტი და მამაძაღლი დადის შემოწმებაზე, მოიტანეთ სასამართლოს გადაწყვეტილება, რომ ამის უფლება გაქვთ და დაგიშვებთ, – **მტკიცედ განაცხადა მაღაზიის მეპატრონე ქეთევან ნემსიწვერიძემ.**

– ჩვენ არ გვჭირდება სასამართლოს გადაწყვეტილება, – **უხსნიან მას, თან პირადობის დამადასტურებელ საბუთს აჩვენებენ** – აი, ნახეთ კანონში „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ გასაგებად არის ჩაწერილი, რომ უფლება გვაქვს „მოვაწყოთ პროდუქციის ხარისხისა და უსაფრთხოების დამოუკიდებელი ექსპერტიზა“.

– არ ვიცნობ მე მაგ კანონს და არც ვემორჩილები. ამიტომ გთხოვთ, მაღაზიიდან მიბრძანდეთ, – **ამბობს გაწიწმატებული ქალბატონი ნემსიწვერიძე და მომხმარებელთა უფლებების დაცვის ასოციაციასთან სათანამშრომლოდ, როგორც იტყვიან, ნემსის წვერისოდენა ადგილსაც აღარ იტოვებს.**

მაღაზიიდან გამოსვლის შემდეგ კი, იგივე ქალბატონი ქუჩაში გამორბის და ჩვენს ფოტოკორესპონდენტს (რომელსაც მისმა მუშაკებმა აპარატი კინაღამ დაუმტვრიეს) დაჟინებით სთხოვს ტელეფონთან მივიდეს და აკაკის ელაპარაკოს.

– ვინ არის აკაკი? – ვეკითხები ლევან ბაღდავაძეს.

– ვერაფერს გეტყვით, მაგათი „კრიშა“ იქნება და მისი იმიჯით გვაშინებს. სწორედ ამან დაღუპა ქვეყანა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი მომხმარებელი, რომელსაც „კრიშების“ იმედით ხარისხიანი პროდუქტების ნაცვლად, არც თუ იშვიათად, საწამლავს აყიდებენ.

ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, როცა დიღმის მასივის მეორე კვარტლის მე-6 ა კორპუსში გახსნილ სუპერმარკეტ „პოპულს“ ვეწვიეთ. მაღაზიის თანამშრომლებმა მისი მეპატრონის ვინაობა არ გაგვანდეს, თან განგვიცხადეს, „ხაზეინი“ აქ არ არის, ჩვენ კი თქვენთვის არა გვცალიაო. ან რა გულით მოიცლიდნენ, როცა მაღაზიაში ამდენი ვადაგადაცილებული, მოხმარებისთვის უვარგისი პროდუქტი – რუსული წარმოების ლუდი, შოკოლადი, ყინულოვანი კანფეტი „ტიუნისი“, ტროპიკული წვენი, ქლიავის კომპოტი, ძეხვი „ნიკორა“ და სხვა ეგულებოდათ. ეს ყველაფერი ასოციაციის ექსპერტებმა ნებადაურთველად, თვალის ერთი გადავლებით აღმოაჩინეს. ნება რომ დაერთოთ...

მაშინ ნახავდით, რა „საგანძურს“ მიაგნებდნენო, დაუმატებთ თქვენ, პატივცემულო მკითხველო, და მართალიც იქნებით. დაახლოებით ასეთ „საგანძურს“ წააწყდნენ, ამას წინათ, ექსპერტები ამ მაღაზიის გვერდით მე-6 ბ კორპუსში მომუშავე შპს „მაგნოლიაში“, სადაც გაფუჭებული სოსისის გარდა, თაგვის ნაჭამი შოკოლადიც აღმოაჩინეს. მართალია მაღაზიის მეპატრონემ ექსპერტები შესამოწმებლად არ დაუშვა, მაგრამ სამაგიეროდ გარანტია მისცა, რომ შოკოლადის მოყვარულ თაგუნას მომხმარებლის თანდასწრებით ტბილეულის მირთმევის უფლებას არ მისცემს.

– ეს რაც ვნახეთ, გასაგებია, – ვეუბნები ბატონ ლევან ბაღდავაძეს, – მაგრამ ამხელა ქალაქში წესიერად მოვაჭრე მაღაზიებიც ხომ არის?

– რა თქმა უნდა, არის ისეთი მაღაზიებიც, სადაც მეტნაკლებად ხარისხიანი პროდუქტები იყიდება, წესრიგია და მომხმარებელთა უფლებები არ ილახება. ასეთებია, მაგალითად, შპს „თაველი“ (დირექტორი – გაიოზ ჯიქია), შპს „ოზა“ (ოთარ კარტოზია, ორივე მაღაზია განთავსებულია კონსტანტინე გამსახურდიას 2 ნომერში), შპს „კამკამა“ (ვლადიმერ კამკამაძე, ვაჟა-ფშაველას პირველი ჩიხი, №3), შპს „ჯვარცმა“ (დავით ჩახაშვილი, დადიანის 65) და სხვები. ამ ობიექტებს გაფორმებული აქვთ ხელშეკრულებები ჩვენს ასოციაციასთან და ერთობლივი ძალებით ვებრძვით ვადაგასული და ფალსიფიცირებული პროდუქტებით ვაჭრობას.

თუმცა იქვე ამატებს, რომ ასეთი მაღაზიების რიცხვი ჯერჯერობით ზღვაში წვეთია და მომხმარებელთა უფლებების დაცვის ფონზე კეთილსაამედო გარემოს გარანტიას ვერ ქმნის. ამიტომაც გადაწყვეტილი გვაქვს, გაქსუებული სავაჭრო ობიექტების მიმართ კანონით უფრო მკაცრ ზომებს მივმართოთ.

უხმოდ ვეთანხმები.

ოთარ ხუციშვილი.

ექსპერტმა მადონა კოიძემ (მარცხნივ) გამყიდველს საკვებად უვარგისი პროდუქტი „აღმოუჩინა“.

რედაქციისაგან: პრობლემის აქტუალურობიდან გამომდინარე, „საქართველოს რესპუბლიკა“ კვლავაც გააგრძელებს მომხმარებელთა უფლებების დაცვის ასოციაციასთან თანამშრომლობას და ერთობლივად მოპოვებული მასალების გამოქვეყნებას. რედაქცია დარწმუნებულია, რომ ეს მომხმარებლებს დაეხმარება კანონით მინიჭებული უფლებების გაცნობიერებაში, ხოლო სავაჭრო ობიექტებს – კანონმორჩილ სუბიექტებად ჩამოყალიბებაში.

კანონმდებლები

„დავიცვათ ენა, მამული, სარწმუნოება“

– ის, რომ მე არ ვიცნობ კონკორდატის ტექსტს, რომელიც, ამას წინათ, გაფორმდა სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის, და ამას აცხადებენ ზვიად ძიძიგური და კოტე კემულარია, მტკნარი სიცრუეა, – განაცხადა 5 თებერვალს პარლამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე პარლამენტარმა გურამ შარაძემ. მან აღნიშნა, რომ იგი კარგად იცნობს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დადებული საკონსტიტუციო ხელშეკრულების შინაარსს და აცხადებს, რომ ამ ხელშეკრულების ტექსტის შედგენაში მასაც მიუძღვის წვლილი. ხოლო ზვიად ძიძიგურის, მიხეილ საკაშვილის, კოტე კემულარიას და კობა დავითაშვილის ამ ბოლო დროს გახშირებულ გამოხდომებს, უმნეობა დაარქვა და მათ წერა-კითხვის უცოდინრობა უწოდა.

გურამ შარაძემ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ 27 იანვარი – წმინდა ნინოს ხსენების დღე –აუცილებლად უნდა შევიდეს შრომის კოდექსში და იგი უქმედ გამოცხადდეს.

დეპუტატი პარლამენტის თავმჯდომარესაც დაუპირისპირდა და აღნიშნა, რომ აქვს მამხილებელი მასალები. გურამ შარაძის თქმით, ორ-სამ თვეში იგი თავის მხარდამჭერებთან ერთად გამართავს ეროვნულ ყრილობას თემაზე – „დავიცვათ ენა, მამული, სარწმუნოება“.

საინფორმ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 33. ხუთშაბათი, 6 თებერვალი, 2003 წელი.

ქართული ბიზნესი

(პირველი გვერდიდან)

მეწარმეებო, მიბაძეთ „თბილღვინოს"!

პროექტები, რომლებმაც კომპანიას მნიშვნელოვანი წარმატებები მოუტანა

— ბატონო გიორგი, როგორ მოახერხეთ, რომ უმოკლეს პერიოდში „თბილღვინო", აბსოლუტურად დანგრეული საწარმოდან ერთ-ერთ წამყვან ღვინის მწარმოებელ კომპანიად გადააქციეთ?

— საკუთარი საქმიანობის ქებადიდება ძალიან მეუხერხულება. მარტივად გეტყვით: „თბილღვინო" ტიპიური საბჭოური საწარმო იყო, რომლის სტრუქტურაც წარმატების მიღწევის საშუალებას არ იძლეოდა. 1998 წლის ბოლოს, როდესაც ჩვენი გუნდი საწარმოში შევიდა, აღმოაჩინა, რომ ყველაფერი ძირფესვიანად იყო შესაცვლელი. არც კი ვიცოდით, პირველად რისთვის უნდა მიგვეხედა — მოძველებული მენეჯმენტისთვის, ნულზე დასული გაყიდვებისთვის თუ გამოუსადეგარი ღვინო-მასალისთვის, რომელიც ქარხანაში ტონობით დაგვხვდა. იმასაც ვხვდებოდით, რომ მხოლოდ ჩვენი ძალისხმევა და ენთუზიაზმი არსებულ მდგომარეობას ვერ გამოასწორებდა. სწორედ ამ დროს შევიტყვეთ, რომ საქართველოში ფუნქციონირებს „საწამოთა რესტრუქტურიზაციისა და დახმარების ცენტრი" („სერმა"), რომელიც, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, კერძო საწარმოებს მენეჯმენტის გაუმჯობესებაში ეხმარება. მალევე „სერმას" კოორდინატორებს დახმარებისთვის მივმართეთ და გულწრფელად გეტყვით, ძალიან გაგვიმართლა. კომპანიაში მოწვეულმა ექსპერტებმა საფუძვლიანად შეისწავლეს ქარხნის სტრუქტურა და პრობლემები. ამის შემდეგ დაამუშავეს რესტრუქტურიზაციის გეგმა და უკვე გამზადებული, მაგიდაზე დაგვიდეს. ისინი გვირჩევდნენ, შეგვეცვალა საწარმოს სტრატეგია, დაგვეხვეწა მენეჯმენტი და გაგვეუმჯობესებინა პროდუქციის ხარისხი. აგრეთვე, ძირფესვიანად შესაცვლელი იყო ექსპორტ-სტრატეგიაც. საერთოდ, „თბილღვინო" ყოველთვის მეორად ქარხნად ითვლებოდა, რის გამოც ის სრულ საწარმოო ციკლს, ასევე, ყურძნისა და შესაბამისად, ღვინომასალის ხარისხს, ბოლომდე ვერ აკონტროლებდა. მსოფლიო ბანკის ექსპერტები გვეუბნებოდნენ, რომ ჩვენი უპირველესი პრობლემა იყო არა გაყიდვები, არამედ ხარისხი, რომლის კონტროლიც აუცილებლად უნდა დაგვეწყო. მოკლედ, მუშაობა ასეთი თანმიმდევრობით უნდა წაგვეყვანა: მიწა, ვენახი, ყურძენი, მისი გადამუშავება და საბოლოო პროდუქტად გადაქცევა. ისინი გვარწმუნებდნენ, რომ, თუ ამ სქემით წავიდოდით და მთელი მენეჯმენტი ამ მიზანს მოემსახურებოდა, წარმატებას აუცილებლად მივაღწევდით. ამის დაჯერება იმდროინდელი მენეჯმენტისთვის იოლი არ იყო, თუმცა, ისეთებიც ვიყავით, ვისაც „სერმას" რესტრუქტურიზაციის გეგმა ძალიან მოგვეწონა.

— საბოლოოდ ეს ურთიერთობა როგორ დასრულდა?

— საბოლოოდ „სერმას" პროექტი „თბილღვინოში" მაინც განხორციელდა. თავადაც აღიარებენ, რომ ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროექტი. მსოფლიო ბანკის ექსპერტების დახმარებით „თბილღვინო" თანამედროვე მოწყობილობებით აღჭურვილი პერსპექტიული საწარმო გახდა, რომლის პროდუქციის რეალიზაციაც, საქართველოს გარდა, მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში წარმატებით ხორციელდება. ახლა ჩვენ ვფლობთ არა მარტო ღვინის ქარხანას, არამედ ვენახებსაც. მოკლედ, მეღვინეობის მთელი პროცესი — ყურძნის მოყვანიდან დაწყებული, მაღალხარისხოვანი ღვინის ჩამოსხმით დამთავრებული, ათვისებული გვაქვს. კახეთსა და რაჭაში უკვე ვენახების გაშენებაც დავიწყეთ.

— ერთი სიტყვით, უნდა ჩავთვალოთ, რომ „თბილღვინოს" წარმატება „სერმას" პროექტის დამსახურებაა?

— თავისთავად, „სერმას" პროექტმა კომპანიას სერიოზული წინსვლის საშუალება მისცა. ამის შემდეგ ჩვენ გვქონდა რამოდენიმე პროექტი, რომელმაც „თბილღვინოს" არანაკლები წარმატება მოუტანა. კერძოდ, 1999 წელს თანამშრომლობა დავიწყეთ „საქართველოს ექსპორტის ხელშეწყობის სააგენტოსთან", რომელსაც გერმანიის მთავრობა აფინანსებს და მისი მიზანია, ხელი შეუწყოს გერმანიასა და გარე ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობებს. პროექტის მენეჯერი, რაინერ კუბერა უკვე ოთხი წელია, საქართველოშია და ქართული ღვინის საექსპორტო შესაძლებლობებს სწავლობს. მას საქართველოში სისტემატურად ჩამოჰყავდა გერმანელი ექსპერტები, რომლებიც ჩვენი ლაბორატორიის თანამშრომლებს ასწავლიდნენ მეღვინეობის თანამედროვე ტექნოლოგიებს, ხარისხის კონტროლის მექანიზმებს, დეგუსტაციის ჩატარების მეთოდოლოგიასა და ა.შ. გარდა ამისა, მონაწილეობა მივიღეთ მის მიერ გერმანიაში ორგანიზებულ ჯგუფურ ტრენინგში, რომელიც საერთაშორისო მარკეტინგს შეეხებოდა. სწორედ კუბერას ძალისხმევის შედეგია, რომ ღვინის მწარმოებელმა ქართულმა კომპანიებმა (მათ შორის, „თბილღვინომ") დიუსელდორფის უმსხვილეს გამოფენაში — „პროვაინ — 2002" — პირველად მიიღეს მონაწილეობა. ამ გამოფენაზე „თბილღვინოს" ოთხი სახეობის ღვინო ჰქონდა წარდგენილი. ეს იყო: თეთრი მშრალი „რქაწითელი", წითელი მშრალი „საფერავი", წითელი მშრალი „მუკუზანი" და წითელი ნახევრადტკბილი „ქინძმარაული". აქედან ორით — „საფერავითა" და „მუკუზანით" ექსპერტები სერიოზულად დაინტერესდნენ. ეს არის გამოფენა, სადაც ღვინის მწარმოებელი კომპანიების პროდუქციას მსოფლიო მასშტაბის პროფესიონალები აფასებენ. შესაბამისად, ჩვენთვის ამ გამოფენაში თუნდაც მხოლოდ მონაწილეობა უკვე სერიოზული წარმატება იყო.

— ბატონო გიორგი, რა კომპანიაა „დელტეკ ინვესტმენტი" და რა ურთიერთობა ჰქონდა „თბილღვინოს" მასთან?

— „დელტეკ ინვესტმენტი" არის მეღვინეობის დარგში საერთაშორისო დონის საკონსულტაციო კომპანია, რომელიც ისეთ საწარმოებს, როგორიც ჩვენ ვართ, ბიზნეს-კონსულტაციებს უწევს, უტარებს მარკეტინგულ კვლევებს, რის საფუძველზეც ექსპორტ-სტრატეგიას ამუშავებ. ამ კომპანიის წარმომადგენლები 1999 წელს ქალაქ მილანში, მეღვინეობისა და მევენახეობის გამოფენაზე გავიცანით. იმ სახის მომსახურება, რასაც „დელტეკ ინვესტმენტი" გვთავაზობდა, „თბილღვინოს" აუცილებლად ესაჭიროებოდა. ამიტომაც, 2000 წელს მასთან ხელშეკრულება გავაფორმეთ. ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ „დელტეკ ინვესტმენტი" შეღავათიან პირობებზე დაგვთანხმდა და მომსახურების საფასურის ეტაპობრივად დაფარვის საშუალება მოგვცა.

— საიდუმლო თუ არ არის, რა დაჯდა ამ კომპანიის მომსახურება?

— 550 ათასი დოლარი. ამ თანხის დიდი ნაწილი უკვე დაფარული გვაქვს. დარჩენილ თანხას კი გრაფიკის მიხედვით ვიხდით.

— ასეთი რა კონსულტაცია გაგიწიათ ამ კომპანიამ, ამხელა თანხა რომ დაგიჯდათ?

— იმ პერიოდისთვის კომპანიისთვის ეს მართლაც სოლიდური თანხა იყო. მაგრამ ამ მომსახურებაზე უარი რომ გვეთქვა, ხათვალეთ, ექსპორტს ვერ ავაწყობდით. ჩვენ შეიძლება გვქონოდა კარგი წარმოება და პროდუქტი, მაგრამ ვერ შევძლებდით საზღვარგარეთის ბაზრებზე ჩვენი პროდუქციის გატანას. „დელტეკ ინვესტმენტს" მივეცით კონკრეტული ქვეყნების სია, სადაც ჩვენი ღვინოების ექსპორტის განხორციელება გვინდოდა. მან კი გამოგვიკვლია, თუ რომელ ქვეყანაში რა შემადგენლობის ბაზარია, მეღვინეობაში როგორი საკანონმდებლო ბაზაა, მართვის როგორი სისტემა და ღვინის წარმოების რა მეთოდოლოგიებია, დაინტერესდებოდა თუ არა ამა თუ იმ ქვეყნის რომელიმე სადისტრიბუციო კომპანია ქართული ღვინოებით და ა.შ. ასეთი კვლევები „დელტეკ ინვესტმენტმა" ჩაატარა დიდ ბრიტანეთში, აშშ-ში (კერძოდ, კალიფორნიის შტატში), ავსტრალიაში, პოლონეთში, ჩეხეთში, რუსეთსა და უნგრეთში. ამ კომპანიასთან ურთიერთობა, როგორც კომერციული, ისე ფინანსური თვალსაზრისით, „თბილღვინოსთვის" ცალსახად დადებითი და მომგებიანი იყო. დღეს ჩვენ უკვე გვყავს მაღალხარისხოვანი დამხმარე მასალების მომწოდებლები, რომლებთანაც საკრედიტო ურთიერთობები ჩამოგვიყალიბდა. ასევე, იმპორტიორი კომპანიები, რომელთა მონახვაშიც „დელტეკ ინვესტმენტს" უზარმაზარი წვლილი მიუძღვის. ფაქტი ჯიუტია, ამ კონტრაქტის შემდეგ კომპანიის პროდუქციის რეალიზაცია სერიოზულად გაიზარდა. მარტივ ციფრებს მოგიყვანთ: ***გასულ წელს ღვინის რეალიზაცია 518. 410 ლარიდან 4 მილიონ 25 ათას ლარამდე, ანუ 776%—ით, ექსპორტის მოცულობამ კი 123. 800 ლარიდან 3. 070. 350 ლარამდე, ანუ 2080%-ით მოიმატა. ამავე პერიოდში, სახელფასო ფონდი 162 797 ლარიდან 567.200 ლარამდე, ანუ 350 პროცენტით გაიზარდა. როგორ ფიქრობთ, ასეთი წარმატებისთვის 550 ათასი დოლარის გაღება უაზრობა იყო?! ვთვლი, რომ არა.***

— ამჟამად ექსპორტს რომელ ქვეყნებში ახორციელებთ?

— ამჟამად „თბილღვინოს" პროდუქცია გადის რუსეთში, უკრაინაში, ბალტიისპირეთში, ყაზახეთში, ჩეხეთში, კანადაში. 2002 წლის დეკემბერში ჩვენი ღვინოები იუგოსლავიაშიც გადავტვირთეთ. თითოეულ ქვეყანაში, რომელიც მე ჩამოგითვალეთ, ჩვენი პარტნიორები ღვინის რეალიზაციის ბიზნესში წამყვანი კომპანიები არიან. ეს არის ხალხი, რომელსაც იმ პროდუქტის მიმართ, რომელსაც ხელს კიდებენ, ძალიან მკაცრი მიდგომა და მოთხოვნები აქვს. მაგალითად, რუსეთში ჩვენი პარტნიორია ღვინის იმპორტიორთა საუკეთესო სამეულში შემავალი კომპანია „მოზელი". ეს კომპანია წელიწადში 200 ათას დოლარზე მეტს ხარჯავს ჩვენი პროდუქციის რეკლამირებაზე: ის ამზადებს პუბლიკაციებს ჟურნალ-გაზეთებისთვის, განათავსებს გარე რეკლამებს, ატარებს პრეზენტაციებს და ა.შ. ახლაც, 3-7 თებერვალს, ქალაქ მოსკოვში მიმდინარეობს დსთ-ს სივრცეში ყველაზე მასშტაბური ალკოჰოლური სასმელების გამოფენა „პროდ-ექსპრო", რომელშიც „თბილღვინო" სწორედ „მოზელის" დახმარებით მონაწილეობს. უკრაინაში ჩვენი პარტნიორია ასევე ლიდერი კომპანია „დოლმარტ უკრაინა", რომელიც უკრაინის ბაზარზე ელიტარულ ფრანგულ და იტალიურ ალკოჰოლს წარადგენს. ლატვიაში — მსხვილ საფინანსო ჯგუფ „მონო ჰოლდინგში" შემავალი ალკოჰოლური სასმელების დისტრიბუტორი კომპანია „ალიანსი-2". ყაზახეთში ჩვენი კომპანიონია „ინტერფუდი", რომელიც არა მარტო ყაზახეთის, არამედ მთელი შუა აზიის ბაზარზე ლიდერობს. სხვათა შორის, ახლახან ამ კომპანიამ „თბილღვინოს" ექსპორტის გაყიდვების მენეჯერი ერთი წლით სამუშაოდ მიიწვია და ყაზახეთში ალკოჰოლური სასმელების რეალიზაციის განყოფილების ხელმძღვანელად დანიშნა. მერწმუნეთ, ყოველივე ეს იმ უცხოურ საკონსულტაციო კომპანიებთან თანამშრომლობის შედეგია, რომელზეც წეღან ვსაუბრობდით.

— ბატონო გიორგი, როგორც ვიცი, ახლახან „თბილღვინო" ევრობანკის პროექტში ჩაერთო. რას ითვალისწინებს ეს პროექტი და რას ელით მისგან?

— არსებობს ე.წ. „ტამის" პროგრამა, რომლის დამფუძნებლებიც არიან ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამა და ევროგაერთიანება. ამ პროგრამის მიზანია აღმოსავლეთ ევროპის საწარმოებისთვის დახმარების გაწევა, რათა უფრო ეფექტურად მოახდინონ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ადაპტირება. „ტამის" სპეციალისტთა ჯგუფი შეისწავლის ამა თუ იმ კომპანიის ძირითად მიმართულებებს, მის ძლიერ და სუსტ მხარეებს. ასევე, აკეთებს ანალიზს, თუ კონკრეტულად რა სახის დახმარება ესაჭიროება ამ პროგრამაში მონაწილე საწარმოს. გამოკვლევის შემდეგ იგი კომპანიაში აგზავნის კონსულტანტს, რომელიც ამ ხარვეზების აღმოფხვრაზე მუშაობს. პროექტი მთლიანად ევრობანკის მიერ ფინანსდება — ის თითო კონსულტანტში ექვს თვეში დაახლოებით 60 ათას ევროს ხარჯავს.

„ტამის" პროგრამის უშუალო დირექტორია ჯონ ჰიერინა, რომელიც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის საქართველოს ოფისთან მჭიდროდ თანამშრომლობს. ეს კაცი თითქმის ორი წელი ეძებდა შესაძლო კანდიდატებს, რომლებიც ამ პროგრამის ქვეშ მხარდაჭერას მიიღებდნენ. ბატონი ჰიერინა ჩვენთან პირველად 2001 წლის ბოლოს მოვიდა და შემოგვთავაზა, ამ პროგრამის კანდიდატები გავმხდარიყავით. გაიცნო კომპანიის იმფრასტრუქტურა, წარმოების დინამიკა, შეისწავლა ადამიანური და ფინანსური რესურსები. მხოლოდ ამის შემდეგ, 2002 წლის 28 თებერვალს დაიდო პირველი შეთანხმება, რომ „ტამის" პროგრამა მზად იყო „თბილღვინოს" მხარდასაჭერად. 2002 წლის ოქტომბერში „ტამმა" „თბილღვინოში" იტალიელი ექსპერტი მეღვინეობის საკითხებში, კარლო არნულფო მოავლინა. ეს ადამიანი მოწინავე ევროპულ ღვინის მწარმოებელ კომპანიებს უწევს კონსულტაციებს. ასევე, კითხულობს ლექციებს ევროპის მეღვინეობის უნივერსიტეტებში. კარლო არნულფოს შესასწავლად გადავეცით ჩვენი მიწის ნაკვეთები და ის ანალიზები, რომლის გაკეთებაც საქართველოში შევძელით. მან ეს ყველაფერი დაათვალიერა და საანალიზო მასალა იტალიაშიც წაიღო. თუმცა, პირველადი დათვალიერების შემდეგ განაცხადა, რომ ეს მიწები ვენახების გასაშენებლად საკმაოდ მაღალხარისხოვანია. ამასთან, მან ჩვენი ღვინოების დეგუსტაციაც ჩაატარა. ზოგიერთი ღვინის ნიმუში კი თავის ლაბორატორიაში საანალიზოდაც წაიღო. ცოტა ხნის წინ მან ანგარიში უკვე წარმოგვიდგინა და იქ საკმაოდ მნიშვნელოვანი რეკომენდაციებია. ვფიქრობ, ევრობანკის პროგრამა ახალი ვენახების გაშენებასა და ჩვენი ღვინოების ხარისხის გაუმჯობესებაში მნიშვნელოვნად დაგვეხმარება. და თუ პროექტი წარმატებულად ჩაითვლება, „ტამის" პროგრამა მის გაგრძელებას გვპირდება.

კომპანია „პირველი ლობის" პრესსამსახური.

სურათზე: „თბილღვინოს" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გიორგი მარგველაშვილი და კალიფორნიელი ექსპერტი ჯო მორისი ახალი ღვინოების დეგუსტაციის დროს.

- **ერაყს სათავეში აჰმედ ჩალაბი ჩაუდგება?**
- **იაპონელი ასტრონავტები შატლებზე უარს ამბობენ**
- **შეთანხმდებიან ბრიტანეთი და საფრანგეთი?**
- **სახელმწიფო მეთაური – სამიდღეშიოდ**

ვაშინგტონმა სადამ ჰუსეინის მემკვიდრე შეარჩია

შეერთებულმა შტატებმა უკვე შეარჩია კაცი, რომელიც სათავეში ჩაუდგება ერაყს სადამ ჰუსეინის დამხობის შემდეგ. სიდნეიში მცხოვრები ყოფილი ერაყელი დიპლომატის თქმით, იგი წარმოადგენს ერაყის ერთ-ერთ უდიდეს ოპოზიციურ ჯგუფს.

ვაშინგტონიდან დაბრუნებულმა მოჰამედ ალ-ჯაბირიმ განაცხადა, რომ თეთრი სახლი იმედს ამყარებს ერაყის ეროვნული კონგრესის ხელმძღვანელზე აჰმედ ჩალაბიზე. როგორც ვარაუდობენ, ჩალაბი უნდა ჩაუდგეს სათავეში კოალიციურ მთავრობას სადამის დამხობის შემდეგ.

დოქტორმა ალ-ჯაბირიმ, რომელიც აჰმედ ჩალაბის ესაუბრა, განაცხადა: „ჩალაბიმ მითხრა, რომ საკუთარ ხელში აიღებს ძალაუფლებას ერაყში. იგი თეთრი სახლისა და სახელმწიფო დეპარტამენტის ნდობით სარგებლობს".

დიპლომატის თქმით, ჩალაბი ამჟამად აწარმოებს მოლაპარაკებას ერაყის მეორე მრავალრიცხოვან ოპოზიციურ ჯგუფთან — ისლამური რევოლუციის უმაღლეს საბჭოსთან — ერაყში, და ირანის მთავრობასთან — თეირანში.

ქვეყანაში ამერიკის შეჭრის წინ ჩალაბი გადავიდა სალა-ჰუდინში, ერაყის ჩრდილოეთ ნაწილში, რომელსაც ქურთები აკონტროლებენ. აქ ოპოზიციური ძალები 15 თებერვალს სამიტს გამართავენ.

აჰმედ ჩალაბის, პროგრესულ ლიბერალს, არა აქვს მოხვეჭილი უცილობელი პოპულარობა ერაყელ ემიგრანტებს შორის. მიუხედავად ამისა, წარმატებული მოლაპარაკება, რომელიც მან თეირანში გამართა, და ირანის მთავრობის მხრივ ნდობა მოწმობს, რომ ჩალაბი მნიშვნელოვანი მხარდაჭერით სარგებლობს ერაყის ოპოზიციაში.

ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ ერაყის ოპოზიციის გარემოში ერთიანობის არარსებობა პრაქტიკულად შეუძლებელს გახდის გარდამავალი მთავრობის ჩამოყალიბებას მისი წარმომადგენლებისაგან, ამიტომ, შეერთებულმა შტატებმა, შესაძლოა, ოკუპაციაჰყოს ერაყი სულ ცოტა რამდენიმე წლით, რათა დაამყაროს აქ წესრიგი.

ალ-ჯაბირი ამტკიცებს, რომ აშშ ისწრაფვის, თავიდან აიცილოს ამგვარი სიტუაცია, რადგან კარგად ესმის, რომ ხანგრძლივი ოკუპაცია გამოიწვევს ერაყელი ხალხისა და ახლო აღმოსავლეთის მუსლიმი მოსახლეობის გულისწყრომას. ჩალაბიმ, მძლავრი ერაყული საგვარეულოს 58 წლის ჩამომავალმა, ქვეყანა მაშინ დატოვა, როდესაც 11 წლისა იყო. ცხოვრების მეტი ნაწილი გაატარა ბრიტანეთსა და შეერთებულ შტატებში, სადაც მათემატიკას სწავლობდა.

1992 წელს, იორდანიაში, მას დაუსწრებლად მიესაჯა 22 წლის გამასწორებელი სამუშაოები თაღლითობის ბრალდებით.

1996 წელს სათავეში ჩაუდგა ჰუსეინის წინააღმდეგ მიმართულ გადატრიალებას, რომელიც მარცხით დამთავრდა და რომლის შედეგადაც ასობით კაცი დაიღუპა.

დიპლომატი ალ-ჯაბირი, რომელიც ორ წელიწადს იჯდა ციხეში, სანამ შეერთებულ შტატებში, იქიდან კი ავსტრალიაში გაიქცეოდა, მჭიდროდ თანამშრომლობს აშშ სახელმწიფო დეპარტამენტთან და ერაყელ ემიგრანტებთან. იგი მონაწილეობს ერაყის ჰუსეინისშემდგომი მომავალი პოლიტიკური წყობილების დაგეგმვაში.

ალ-ჯაბირის თქმით, ახალი მთავრობა ხელისუფლების სათავეში დადგება სადამ ჰუსეინის დამხობიდან სამი თვის შემდეგ, ხოლო ერთ წელიწადში მოეწყობა ეროვნული პარლამენტის არჩევნები.

ლონდონი-პარიზი: ერთიანობა ჯერაც არ არის

ბრიტანეთისა და საფრანგეთის ლიდერებმა გამართეს მოლაპარაკება იმ იმედით, რომ დააახლოებდნენ პოზიციებს ერაყის განიარაღებასთან დაკავშირებით. როგორც საფრანგეთის საკურორტო ქალაქ ტუკეში გამართულ პრესკონფერენციაზე ჟაკ შირაკის გამოსვლიდან ჩანს, ბრიტანეთის პრემიერმა ვერ შეძლო, დაერწმუნებინა საფრანგეთის პრეზიდენტი, გაამკაცროს თავისი პოზიცია.

საფრანგეთი და გერმანია იტოვებენ იმედს, რომ ერაყის კონფლიქტი შეიძლება, გადაწყდეს ძალის გამოუყენებლად, და ეს ჟაკ შირაკმა კიდევ ერთხელ განაცხადა ტუკეში, როდესაც ხაზგასმით აღნიშნა: „ბევრი, ძალზე ბევრი რამ შეიძლება, გაკეთდესო მშვიდობიანი საშუალებებით". უპასუხა რა კითხვას, კიდევ რამდენ ხანს შეიძლება, გაგრძელდეს ინსპექციები ერაყში — შირაკმა თქვა: „მე ვერ დავასახელებ რაღაც კონკრეტულ ვადას. ეს ინსპექტორთა საქმეაო".

იანვარში შირაკმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ამჯობინებდა, ინსპექტორებისთვის მიეცათ კიდევ რამდენიმე თვე ერაყში მუშაობის გასაგრძელებლად. საფრანგეთის ლიდერის გამოსვლას არ ეტყობა, რომ მან რამდენადმე შეიცვალა პოზიცია. ოფიციალურ ლონდონს კი, ისევე, როგორც შეერთებულ შტატებს, მიაჩნია, რომ ერაყის ხელისუფალთა მოქმედება უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში, რაც შემოწმებები გრძელდებოდა, უკვე აძლევს საბაბს, განაცხადონ, რომ ერაყი არ ასრულებს გაეროს გადაწყვეტილებებს.

ბრიტანეთის ხელმძღვანელმა აღიარა, რომ ორი ქვეყნის ხელისუფალნი ადგანან განსხვავებულ თვალსაზრისს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა გადაწყდეს ერაყის კრიზისი, ამავე დროს, ხაზი გაუსვა საერთო მიდგომებს ბრიტანეთისა და საფრანგეთის პოზიციებში, და აღნიშნა, რომ „ორივე ქვეყანა მხარს უჭერს ერაყის განიარაღების იდეას და რომ ამის მიღწევა უმჯობესია გაეროს მეშვეობით".

ჯორჯ ბუშისგან განსხვავებით, რომელმაც უკვე განაცხადა, რომ შეერთებული შტატები მზად არის, დაიწყოს ომი ერაყში გაეროს კიდევ ერთი რეზოლუციის მიუღებლადაც, ტონი ბლერი აღიარებს, რომ ასეთი გადაწყვეტილება სასურველი იქნებოდა. საომარი ოპერაციის მოწონება უშიშროების საბჭოში, როგორც ლონდონში თვლიან, ხელს შეუწყობდა საფრანგეთის საბოლოო გადასვლას ანტიერაყული კოალიციის მხარეს.

წინა კვირას რვა ევროპული სახელმწიფოს მეთაურებმა გამოაქვეყნეს ღია წერილი, რომელშიც მხარდაჭერა გამოუცხადეს აშშ პოზიციას. ბერლინი და პარიზი გარკვეულ დიპლომატიურ იზოლაციაში რჩებიან. მაგრამ მათი შეხედულებები ფართო მხარდაჭერას პოვებენ ევროპულ მოქალაქეთა შორის, რომელთა უმრავლესობაც, საზოგადოებრივი აზრის ბოლოდროინდელი გამოკითხვების თანახმად, იმის წინააღმდეგია, რომ დაიწყოს ერაყთან ომი გაეროს რეზოლუციის მიუღებლად.

„კოლუმბიას" კატასტროფამ კოსმონავტები საგონებელში ჩააგდო

იაპონიის კოსმოსური კვლევის განვითარების ეროვნულმა სააგენტომ NASDA-მ განაცხადა, რომ იაპონელი ასტრონავტები არ მიიღებენ მონაწილეობას ამერიკული მაქოების ფრენაში, სანამ არ იქნება გარანტირებული ამ ხომალდების სრული უსაფრთხოება.

როგორც NASDA-ს ოფიციალურმა წარმომადგენელმა თქვა, იაპონელმა ექსპერტებმა, შეისწავლეს რა NASA-ს მიერ წარმოდგენილი მასალები, „კოლუმბიას" კატასტროფის შესახებ, გამოიტანეს დასკვნა, რომ ამ მომენტში მოცემული ტიპის ხომალდებისათვის შემუშავებული უსაფრთხოების სისტემა სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით არ შეესაბამება მოთხოვნებს, და დიდ ეჭვებს იწვევს.

„ეს უბედური შემთხვევა იმდენად სერიოზულია, რომ იაპონიის მხარემ უაღრესი სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს", — ნათქვამია განცხადებაში.

1985 წელს NASDA-მ ჩამოაყალიბა იაპონელ ასტრონავტთა რაზმი. ამ რაზმიდან რვა კაცი შეარჩიეს კოსმოსურ ლაბორატორიებში მუშაობისათვის, და ისინი უნდა შესულიყვნენ საერთაშორისო კოსმოსური სადგურის ეკიპაჟის შემადგენლობაში.

მაქოების ფრენაში უკვე მონაწილეობდა ოთხი იაპონელი ასტრონავტი. პირველი იყო მამორუ მორი, რომელიც 1992 წელს გაფრინდა ხომალდ „ენდევორით".

რვავე იაპონელმა მიიღო NASA-ს ასტრონავტების სტატუსი. იაპონიის მხარის თხოვნის პასუხად, ამერიკის კოსმოსურმა სააგენტომ შეარჩია ერთი ასტრონავტი ამ ჯგუფიდან, სოიჩი ნოგუჩი, რომელსაც მონაწილეობა უნდა მიეღო მაქო „ატლანტისის" ფრენაში ერთი თვის შემდეგ.

NASDA-მ მაქო კოლუმბიას კატასტროფისთანავე ჩამოაყალიბა ექსპერტთა ჯგუფი გამომწვევი მიზეზების შესასწავლად, და შეერთებულ შტატებში აფრინა ამ ჯგუფის ორი წევრი მთელი საჭირო ინფორმაციის შესაგროვებლად NASA-სგან შესაბამისი მასალები რომ მიიღო, NASDA-მ გამოიტანა დასკვნა, რომ საჭიროა კიდევ ერთი, საკუთარი კომისიის შექმნა კოსმოსური მაქოების უსაფრთხოების პრობლემის გამოსაკვლევად.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოეწყობა ამერიკის მხარისაგან მიღებული მთელი მასალების უფრო დეტალური შესწავლა, აგრეთვე, დამტკიცდება ნორმატივები, რომლებიც უზრუნველყოფენ კოსმოსური მაქოების სრულ უსაფრთხოებას, და ერთობლივად შემუშავდება ფრენის გეგმები, გაუქმდება მორატორიუმი იაპონელი ასტრონავტების მონაწილეობაზე ამერიკული მაქოების ფრენაში. 1986 წელს „ჩელენჯერ" მაქოს აფეთქების შემდეგ NASA-მ ასევე, შექმნა კომისია კოსმოსური მაქოების უსაფრთხოების გამოსაკვლევად.

მაშინ NASDA-მ შეისწავლა ამერიკის მხარის მიერ წარმოდგენილი ყველა მასალა და მოაწყო შეერთებულ შტატებში ამ კატასტროფის მიზეზების საკუთარი გამოძიება. თავისი დასკვნები NASDA 1991 წელს წარუდგინა კოსმოსური კვლევის სამთავრობო კომიტეტს. კომისიის დასკვნების საფუძველზე მოიწონეს ასტრონავტ მორის მონაწილეობა მაქოს ფრენაში.

მილოცვა

პროფესორი თინათინ ჩხეიძე იუბილარია

აგრარიკოს-ეკონომისტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თინათინ ჩხეიძე იუბილარია.

საქართველოს აგროეკონომიკური სამეცნიერო საზოგადოება გულითადად მიესალმება ამაგდარ მეცნიერსა და პედაგოგს, გულწრფელად ულოცავს ღირსშესანიშნავ თარიღს — დაბადებიდან 75 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლისთავს.

დიდად მინაარსიანი და ნაყოფიერია პროფესორ თ. ჩხეიძის მიერ განვლილი ცხოვრების გზა. მან თავი გამოიჩინა, როგორც მრავალმხრივ ნიჭიერმა მკვლევარმა და პედაგოგმა. პროფესორ თინათინ ჩხეიძეს ამჟამად გამოქვეყნებული აქვს 70-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი (მათგან 3 მონოგრაფია და 1 სახელმძღვანელო). ქალბატონი თინათინი მრავალი წლის განმავლობაში ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით და ორგანიზაციულ მუშაობას სამთომიწათმოქმედების საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, პედაგოგიურ საქმიანობას ქუთაისისა და სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტებში, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ უნივერსიტეტში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში.

თ. ჩხეიძის სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა ღირსეულად შეაფასა მთავრობამ, იგი დაჯილდოებულია სახელმწიფო ჯილდოებით, მათ შორის ღირსების ორდენით, ეს აღიარება და ავტორიტეტი მან თავისი უანგარო შრომით, მაღალი პროფესიონალიზმითა და ინტელექტით დაიმსახურა.

სადაც კი ქალბატონ თინათინს უმოღვაწია, მას ყველგან დიდ პატივს სცემენ, როგორც ერუდირებულ, ბუნებით უაღრესად მშვიდ, ყველასადმი ყურადღებიან, უპრეტენზიო და კეთილშობილ პიროვნებას. დიდად გასახარია, რომ იგი დღესაც მთელი შემართებით აგრძელებს თავის საქმეს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ქალბატონ თინათინის ნაყოფიერი მოღვაწეობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტში, ჯერ როგორც წამყვანი მეცნიერი თანამშრომლის, შემდეგ სწავლული მდივნის და ამჟამად დირექტორის მოადგილის თანამდებობებზე.

ერთხელ კიდევ ვულოცავთ ქალბატონ თინას ამ ღირსსახსოვარ თარიღს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და წარმატებებს პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

გიორგი წერეთელი,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

რამაზ აბესაძე,
ამავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ყირგიზეთის პრეზიდენტი რეფერენდუმით იხანგრძლივებს რწმუნებებს

ყირგიზეთის ამომრჩეველთა თითქმის 60 პროცენტმა მიიღო მონაწილეობა დღის პირველი საათისათვის საყოველთაო სახალხო რეფერენდუმში, რომელიც ეხებოდა ცვლილებებისა და დამატებების შეტანას ქვეყნის კონსტიტუციაში.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, რეფერენდუმში ყველაზე დიდი აქტიურობა გამოიჩინეს მაღალი მთის ნარინის ოლქის მცხოვრებლებმა, სადაც საარჩევნო უბნებში შუადღემდე მივიდა სრულწლოვან მოქალაქეთა 77 პროცენტზე მეტი. ყირგიზეთის დედაქალაქში ეს ციფრი სულ 35 პროცენტს შეადგენდა.

ქვეყნის ძირითად კანონში შესწორებები შეაქვთ პრეზიდენტ ასკარ აკაევის ინიციატივით. ჟურნალისტთა წინაშე გამოსვლისას ასკარ აკაევმა განაცხადა, რომ რეფერენდუმის შედეგები „დამაჯერებლად დაამტკიცებენ", ვის უჭერს მხარს ხალხი — ხელისუფლებას თუ ოპოზიციას.

აქამდე ოპოზიციის არაერთგზის განუცხადებია, რომ კონსტიტუციის ახალი რედაქცია არღვევს ადამიანისა და მოქალაქის უფლებათავისუფლებათა დაცვის ძირითად კონსტიტუციურ გარანტიებს, და რეფერენდუმი არ უნდა მოეწყოს, სანამ არ მიაღწევენ საზოგადოებრივ თანხმობას კონსტიტუციური რეფორმის პრინციპულ მომენტებთან დაკავშირებით.



უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა
არჩილ მანჯგალაძემ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო სამსახურის ბიურო აცხადებს საჯარო კონკურსს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის მოხელეთა შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე

საბაჟო დეპარტამენტის ცენტრალური აპარატი

1. საბაჟო კონტროლის ორგანიზაციის სამმართველოს უფროსი – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 90,7 ლარი);
2. საბაჟო კონტროლის ორგანიზაციის სამმართველოს უფროსის მოადგილე – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 81,7 ლარი);
3. საბაჟო რეჟიმების რეგულირების განყოფილების უფროსი – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 60 ლარი);
4. საბაჟო რეჟიმების რეგულირების განყოფილების მთავარი ინსპექტორი – 4 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 41 ლარი);
5. საბაჟო კონტროლის ზონების და საწყობების განყოფილების უფროსი – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 60 ლარი);
6. საბაჟო კონტროლის ზონების და საწყობების განყოფილების მთავარი ინსპექტორი – 6 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 41 ლარი);
7. სატრანსპორტო საშუალებების მონიტორინგის განყოფილების უფროსი – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 60 ლარი);
8. სატრანსპორტო საშუალებების მონიტორინგის განყოფილების მთავარი ინსპექტორი – 5 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 41 ლარი);
9. საფინანსო–სატარიფო სამმართველოს უფროსი – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 90,7 ლარი);
10. შემოსავლების ანალიზისა და პროგნოზირების განყოფილების უფროსი – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 60 ლარი);
11. შემოსავლების ანალიზისა და პროგნოზირების განყოფილების მთავარი ინსპექტორი – 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 41 ლარი);
12. შემოსავლების ანალიზისა და პროგნოზირების განყოფილების ინსპექტორი – 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 37 ლარი);
13. სატარიფო რეგულირების განყოფილების უფროსი – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 60 ლარი);
14. სატარიფო რეგულირების განყოფილების მთავარი ინსპექტორი – 3 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 41 ლარი);
15. სატარიფო რეგულირების განყოფილების ინსპექტორი – 3 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 37 ლარი);
16. განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველოს უფროსი – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 90,7 ლარი);
17. განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველოს უფროსის მოადგილე – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 81,7 ლარი);
18. პირველი განყოფილების უფროსი – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 60 ლარი);
19. პირველი განყოფილების მთავარი ინსპექტორი – 5 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 41 ლარი);
20. პირველი განყოფილების წამყვანი ინსპექტორი – 5 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 39 ლარი);
21. მეორე განყოფილების უფროსი – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 60 ლარი);
22. მეორე განყოფილების მთავარი ინსპექტორი – 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 41 ლარი);
23. მეორე განყოფილების წამყვანი ინსპექტორი – 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 39 ლარი);
24. მესამე განყოფილების უფროსი – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 60 ლარი);
25. მესამე განყოფილების მთავარი ინსპექტორი – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 41 ლარი);
26. მესამე განყოფილების წამყვანი ინსპექტორი – 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 39 ლარი);
27. მეოთხე განყოფილების უფროსი – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 60 ლარი);
28. მეოთხე განყოფილების უფროსის მოადგილე – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 54 ლარი);
29. მეოთხე განყოფილების მთავარი ინსპექტორი – 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 41 ლარი);
30. მეოთხე განყოფილების ინსპექტორი – 3 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 37 ლარი);
31. საბაჟო სტატისტიკისა და ინფორმატიკის სამმართველოს უფროსი – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 90,7 ლარი);
32. საბაჟო სტატისტიკისა და ინფორმატიკის სამმართველოს უფროსის მოადგილე – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 81,7 ლარი);
33. სტატისტიკის განყოფილების უფროსი – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 60 ლარი);
34. სტატისტიკის განყოფილების მთავარი ინსპექტორი – 5 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 41 ლარი);
35. სტატისტიკის განყოფილების წამყვანი ინსპექტორი – 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 39 ლარი);
36. სტატისტიკის განყოფილების ინსპექტორი – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 37 ლარი);
37. აქციზური საქონლის სამმართველოს უფროსი – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 90,7 ლარი);
38. აქციზური საქონლის სამმართველოს უფროსის მოადგილე – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 81,7 ლარი);
39. ნავთობპროდუქტების განყოფილების უფროსი – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 60 ლარი);
40. ნავთობპროდუქტების განყოფილების მთავარი ინსპექტორი – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 41 ლარი);
41. ნავთობპროდუქტების განყოფილების ინსპექტორი – 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 37 ლარი);
ქართულ მშვილდოსნობაში ბოლო დროს სასიკეთო ძვრები შეინიშნება. სპორტის ამ სახეობის ეროვნულ ფედერაციას, რომელიც 9 თვის წინათ შეიქმნა, ოლიმპიური ჩემპიონი ქეთევან ლოსაბერიძე უდგას სათავეში. ვფიქრობთ, მკითხველისთვის უინტერესო არ იქნება ინტერვიუ ქალბატონ ქეთევანთან.

— ფედერაციის ჩამოყალიბებიდან დღემდე გასული დრო საკმარისი არ არის ორგანიზაციის სრულყოფისათვის, — გვითხრა მან. — ვიცით, რომ ია-ვარდით მოფენილი გზა არ გვექნება. ბევრი დაბრკოლებაც შეგვხვდება, მაგრამ ყველაფრისთვის მზად ვართ.

დღეს სპორტის სხვა სახეობებთან ერთად მშვილდოსნობაშიც არასახარბიელო მდგომარეობაა. ფაქტობრივად, ყველაფერი გაჩანაგებულია. ერთადერთი აჭარაში ადგილობრივი სპორტის მუშაკების ძალისხმევით მშვილდოსნებს მეტნაკლებად ნორმალური სავარჯიშო პირობები აქვთ. ყველაფერს ვიღონებთ მატერიალურ-ტექნიკური ბაზების გასაუმჯობესებლად. ერთი სასიამოვნო ფაქტიც მინდა აღვნიშნო: ჩვენს ფედერაციას უვადოდ გადმოეცა საბოილერო შენობა, რომლის კეთილმოწყობის შემდეგ დედაქალაქში გვექნება შედარებით ნორმალური საწვრთნელი ბაზა. რომ არა ქვეყნის პრეზიდენტის — ბატონ ედუარდ შევარდნაძის, ასევე, დავით თევზაძისა და სოლომონ პავლიაშვილის კეთილი ნება, ცხადია, ჩვენ ამ შენობას არავინ მოგვცემდა.

— როგორ ფიქრობთ, დამოუკიდებელ ფედერაციად ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს მშვილდოსნობის განვითარებას?

— ცალკე ფედერაციად ჩამოყალიბება ჩემი იდეა არ ყოფილა. მიმაჩნია, რომ ათენის ოლიმპიადამდე მაინც ერთად უნდა ვყოფილიყავით. როცა ქვეყანას ეკონომიკურად უჭირს და სპორტსაც სათანადოდ ვერ ეხმარება, ცხადია, უმჯობესი იქნებოდა, ათენამდე ერთობლივი ძალებით გაგვეწია ჭაპანი.

— ვიცით, რომ ქვეყნის პრეზიდენტს ორჯერ შეხვდით...

— ბატონი ედუარდ შევარდნაძე სპორტისა და სპორტსმენების მიმართ ყოველთვის კეთილად იყო განწყობილი. ქართული სპორტის ბედი მისთვის სულერთი არასდროს ყოფილა და ეს არაერთხელ დაუმტკიცებია.

ჩვენ ახლა ვაყალიბებთ ორგანიზაციას, ბევრ რამეშიც გამოუცდელნი ვართ, ამიტომაც დღეს პრეზიდენტის მხარდაჭერა, მისი რჩევა და გვერდში დგომა ისე გვჭირდება, როგორც არასდროს.

შეხვედრები ნაყოფიერი გამოდგა. მან ჩვენი გასაჭირი გულდასმით მოისმინა და დახმარებაც აღგვითქვა.

— ყველაზე მეტ მხარდაჭერას ვისგან გრძნობთ?

— დიდი მადლობა მინდა ვუთხრა საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს, მის პრეზიდენტს ბატონ ჯანო ბაგრატიონს, რომელიც სიძნელეების გადალახვაში გვეხმარება, თანადგომას ვგრძნობთ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის ირაკლი მეძმარიაშვილისგანაც. მხარდაჭერას გვპირდებიან სპონსორებიც, მაგრამ ჯერჯერობით მათი მხრიდან აქტიურობა არ შეინიშნება.

— მშვილდოსნობის საერთაშორისო ფედერაციასთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?

— საკმაოდ კარგი. ევროპის ფედერაცია კომუნიკაციების გასაუმჯობესებლად დახმარებას შეგვპირდა. ახლახან ანთალიაში მწვრთნელთა საერთაშორისო სემინარი გაიმართა, რომელსაც ნინო ბეთლემიძე, ია მეძევიძე და თამაზ ფუტკარაძე ესწრებოდნენ. მათ საქმიანი შეხვედრები ჰქონდათ ევროპისა და საერთაშორისო ფედერაციის მესვეურებთან. მათი მოთხოვნით უკვე შევიმუშავეთ და გავაგზავნეთ საქართველოში მშვილდოსნობის განვითარების პროგრამა.

— წლევანდელ გეგმებზე რას იტყვით?

— მოსამზადებელ ეტაპს თებერვლიდან დავიწყებთ. ჯერ დახურულ დარბაზში საქართველოს პირველობას გავმართავთ, შემდეგ საფრანგეთში, ხორვატეთსა და თურქეთში სამ საერთაშორისო ტურნირში ვიასპარეზებთ. მერე ეროვნული ჩემპიონატი გვექნება. ივლისში ნიუ-იორკი მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლებს, სადაც ათენის ლიცენზიებიც გათამაშდება.

ესაუბრა
კახა ნუცუბიძე.

კალეიდოსკოპი

რაოდენობა შემცირდება

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის სხდომაზე ჯერ კიდევ შარშან მიიღეს გადაწყვეტილება, რომ შეამცირონ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეთა და მედლების კომპლექტების რაოდენობა.

კომიტეტის ახალი დადგენილებით, 2004 წელს ათენში მედლების 299 კომპლექტისთვის 10588 სპორტსმენი იასპარეზებს. ცნობისთვის: სიდნეიში 10655 ათლეტი ჯილდოების 300 კომპლექტს ეცილებოდა ერთმანეთს.

დორას საზრუნავი

შარშან ათენის მერად, როგორც ცნობილია, საბერძნეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის — კონსტანტინ მიცოტაკისის ქალიშვილი დორა ბაკოიიანი აირჩიეს. ხელისუფლებაში მისვლისთანავე ახალმა ქალაქისთავმა, რომელიც ახლო წარსულში კალათბურთელი იყო, განაცხადა, რომ ყოველმხრივ შეუწყობს ხელს ათენში სპორტის განვითარებას. უპირველესად ქალბატონი დორა ეცდება, ათენი 2004 წლის ოლიმპიურ თამაშებს ყოველმხრივ მომზადებული შეხვდეს.

კვება — 60 მილიონ ევროდ

ათენის ოლიმპიადის ორგანიზატორებს თამაშებში მონაწილეთა კვება 60 მილიონ ევროზე მეტი დაუჯდებათ. ამ თანხით 24 ათასი სპორტსმენის, დელეგაციათა წევრებისა და ტექნიკური პერსონალის დანაყრება შეიძლება. თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა კვების პროდუქტების მოსაწოდებლად 40-ზე მეტი ტენდერი გამოაცხადა.

თებე და ათენა

ათენის 2004 წლის ოლიმპიური თამაშების თილისმად აღიარეს თებე და ათენა — უძველესი ბერძნული სათამაშოების საფუძველზე მოფიქრებული პერსონაჟები, რომლებსაც ჩვენს ერამდე VII საუკუნის ბერძნული ღმერთების სახელები შეარქვეს.

— ოლიმპიადის თილისმები თანამედროვე და ძმაა, რომლებიც 2004 წლის თამაშების სულს შეესაბამება. ჩვენ გვინდოდა, რომ მათში შერწყმულიყო ისტორია და ორიგინალობა, — განაცხადა ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელმა გიანას ანგელოპულოსმა.

შეგახსენებთ, რომ ოლიმპიადების პირველი თილისმა 1968 წელს გრენობლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე გამოჩნდა.

კრივი

გათამაშდება 286 საგზური

ქართველ მოკრივეთაგან პირველი ოლიმპიური პრიზიორი გახლავთ რამაზ ფალიანი, რომელმაც 1992 წელს ბარსელონაში „ბრინჯაო" მოიპოვა, რვა წლის შემდეგ კი ქართული კრივის ისტორიაში პირველი დამოუკიდებელი ოლიმპიური ჯილდო („ბრინჯაო") ვლადიმერ ჭანტურიამ სიდნეიში დაისაკუთრა.

მოგეხსენებათ, წლეულს სპორტის სხვადასხვა სახეობაში ათენის 2004 წლის ოლიმპიური ლიცენზიები გათამაშდება. სხვებთან ერთად ელადის საგზურებისთვის ტყავის ხელთათმნის ოსტატებიც იბრძოლებენ.

კრივის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით, სულ 286 საგზური გათამაშდება. მათი უმეტესობა განაწილდება სამ საკვალიფიკაციო ტურნირში, რომელთაგანაც ერთ-ერთი აუცილებლად კონტინენტური ჩემპიონატი იქნება, დანარჩენ ორში კი წინა საკვალიფიკაციო შეჯიბრებებში ხელმოცარული სპორტსმენები გაარკვევენ ელადის დედაქალაქში წამსვლელთა ვინაობას.

როგორც მოსალოდნელი იყო, კრივში ყველაზე მეტი წარმომადგენელი ევროპას ეყოლება (91), აზიელებს — 62, აფრიკას და ამერიკას — 60-60, ოკეანეთიდან კი ათენის ოლიმპიურ რინგს 11 მოკრივე დააჭაშნიკებს.

თითოეული საკვალიფიკაციო ტურნირის შემდეგ ყველა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ვალდებულია, კრივის საერთაშორისო ფედერაციას წარუდგინოს ლიცენზიის მქონე სპორტსმენთა სია, „ათენი — 2004"-ის საორგანიზაციო კომიტეტისთვის კი განაცხადების წარდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 21 ივლისი.

ვიმედოვნებთ, რომ ქართველი მოკრივეები სალიცენზიო მარათონში თავს არ შეირცხვენენ და ათენის ოლიმპიადაც მათ გარეშე არ ჩაივლის.

ირაკლი ესაკია.

მოვლენის შემდეგ

ელადისკენ — სრული სვლით

თბილისში ამას წინათ დასრულდა „ა" კატეგორიის XXX საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში, რომელიც იმავდროულად ათენის ოლიმპიადის სალიცენზიო შეჯიბრებაც იყო. ორი დღის განმავლობაში 10 ქვეყნის ასამდე ძიუდოისტი ეცილებოდა ერთმანეთს პირველობას. გვესაუბრება საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი შოთა ხაბარელი. მასთან ინტერვიუ რუსეთის დედაქალაქში გამართული სალიცენზიო ტურნირის მიმოხილვით დავიწყეთ.

— მოსკოვში 45 ქვეყნის უძლიერესმა ძიუდოისტებმა მოიყარეს თავი, — თქვა მან. — ჩვენი მოჭიდავეების შედეგით კმაყოფილი ვარ. დასაწყისისათვის თითო „ოქრო-ვერცხლი" და ორი „ბრინჯაო" ურიგო შედეგი არ უნდა იყოს. ბუნებრივია, ყველა ქვეყნას ადრევე სურს ოლიმპიური თამაშებისთვის სალიცენზიო ქულების დაგროვება, ამიტომაც რუსეთის დედაქალაქში ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონებიც ჩამოვიდნენ. მათთან ჭიდილში ჩვენს ბიჭებს თავი არ შეურცხვენიათ.

მოხარული ვარ, რომ თბილისის ტურნირმა ძველი სახელი და ავტორიტეტი დაიბრუნა. ხალხს დიდი ძიუდოს ხილვის საშუალება მიეცა. აღარც კი მახსოვს, სპორტის სასახლე ასე ბოლომდე როდის შეივსო. დიდი ბრიტანეთის ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი დენსენ უაიტი გაკვირვებას ვერ მალავდა — ამდენი მაყურებელი არსად მინახავსო.

— რამდენადაც ვიცით, თბილისში უფრო მეტი ქვეყნის ძიუდოისტები უნდა ჩამოსულიყვნენ...

— თავიდან 15-მდე ქვეყნის ნაკრებს ველოდით, მაგრამ მიზეზთა გამო რამდენიმე გუნდმა ჩამოსვლაზე უარი თქვა. თუმცა, ამით ტურნირის დონე დიდად არ დაკნინებულა. იგი ბევრად სჯობდა შარშანდელს. მჯერა, რომ მომავალში მონაწილე ქვეყნების რაოდენობა საგრძნობლად გაიზრდება.

— ქართველი ძიუდოისტების ასეთ წარმატებას თუ ელოდით?

— ჩვენი სპორტსმენების სიძლიერეში არასოდეს დავეჭვებულვარ. 15 მედალი ბრწყინვალე შედეგია. ეს ქართული ძიუდოს მაღალ დონეზე მეტყველებს. ასეთი ტემპით სიარული, ცხადია, გაგვიჭირდება, მაგრამ, ვეცდებით, შედეგები არ გავაუფერულოთ.

— ყველაზე მეტად იმედები ვინ გაგიმართლათ?

— გამაოცეს ახალგაზრდებმა — ზვიად ხანჯალიაშვილმა, ლაშა გუჯეჯიანმა, მინდია ხომიზურმა, ლაშა სარდანაშვილმა და სხვებმა. მათი სახით, უდავოდ, ნიჭიერი და პერსპექტიული თაობა მოდის.

არ მეგონა, მძიმე წონაში ალექსი დავითაშვილი ასე სუსტად თუ იასპარეზებდა. ამან საკმაოდ შემაფიქრიანა. ასევე მოულოდნელი იყო დავით ქევხიშვილის (73 კგ) არადამაჯერებელი გამოსვლაც. წინ კიდევ რამდენიმე სალიცენზიო ტურნირი გველის და ვეცდებით, ნაკრებში ყველა რგოლი სრულად დავაბალანსოთ.

— 8-9 თებერვალს პარიზის საერთაშორისო ტურნირზე რა შედეგებს გეგმავთ?

— ერთადერთი მიზანი დამაჯერებლად ასპარეზობაა. ჩვენს გუნდს ამის პოტენციური შესაძლებლობები ნამდვილად გააჩნია. მართალია, ბიჭები ცოტათი გადაიღალნენ, მაგრამ ყველამ იცის, რომ უკან დასახევი გზა მოჭრილია და თავს არავინ დაზოგავს.

ესაუბრა
კახა ბერიძე.

ტრიუმფატორები

მოსკოვის ტატამზე თითო ოქროს (ნესტორ ხერგიანი, 60 კგ.), ვერცხლისა (დავით ქევხიშვილი, 73 კგ.) და ორი ბრინჯაოს მედლის (დავით მარგოშვილი, გიორგი რევაზიშვილი, 66 კგ.) მოპოვების შემდეგ ჩვენმა ძიუდოისტებმა განსაკუთრებით თბილისის 30-ე საერთაშორისო ტურნირზე ისახელეს თავი. იაპონიის, საფრანგეთის, რუსეთის, უკრაინის და სხვა ქვეყნების ფალავნებთან ჭიდილში მათ 5 ოქროს, 4 ვერცხლისა და 6 ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრეს.

ნესტორ ხერგიანი (60 კგ):

— თბილისში საკმაოდ ძლიერმა ძიუდოისტებმა მოიყარეს თავი. ესეც არ იყოს, აქ გამარჯვება სულაც არ არის იოლი. სხვა შეგრძნება და განცდაა, როცა წარმატებას საკუთარ ქვეყანაში ათასობით გულშემატკივრის თვალწინ მიაღწევ. მოხარული ვარ, რომ ნდობა გავამართლე.

— როგორ ფიქრობთ, თქვენი ახლანდელი მზადყოფნა საკმარისია უფრო დიდ ტურნირებზე წარმატების მისაღწევად?

— ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვნად ვერ გიპასუხებთ. ამჟამად ჩემს სპორტულ ფორმას არ ვუჩივი. სეზონი ახლა დაიწყო და ოსტატობას თანდათან დავხვეწ. უპირველესად, ათენის ოლიმპიურ ლიცენზიაზე ვფიქრობ. რა თქმა უნდა, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე წარმატებით გამოსვლასაც ვგეგმავ.

დავით მარგოშვილი (66 კგ):

— ტატამზე ყოველთვის გამარჯვების რწმენით გავდივარ. ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ და, მჯეროდა, რომ ჩემპიონი გავხდებოდი. ჩემთვის უხერხული მეტოქე არ არსებობს. პირიქით, მინდა, რომ ყველასთვის თავად ვიყო უხერხული მოწინააღმდეგე. ქართველ გულშემატკივარს კვლავაც ბევრ სიხარულს მივანიჭებ.

— თქვენს წონაში დიდი კონკურენციაა. ეს ხომ არ გაშინებთ?

— შიში რას მიქვია. პირიქით, უკეთესიცაა, როცა ნაკრებში ადგილის დასამკვიდრებლად ჯანსაღი კონკურენციაა.

— რას ინატრებდით?

— ბუნებრივია, ათენის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა და გამარჯვება მწადია. ისე კი, ძალიან მინდა, ჩემი სამშობლო ერთიანი, ძლიერი და აყვავებული იყოს. მაშინ სპორტსმენებსაც მეტი გასაქანი გვექნებოდა.

დავით ბოდაველი (73კგ):

— მიხარია, რომ თბილისის ტურნირი, უწინდებურად კვლავ პრესტიჟული გახდა. აქ გამარჯვება ჩემთვის ძალზე საამაყოა, თანაც ოლიმპიური ლიცენზიისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგი.

— თქვენი ამჟამინდელი სპორტული ფორმა გაკმაყოფილებთ?

— ვფიქრობ, ურიგოდ არ ვარ მომზადებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩემპიონი ვერ გავხდებოდი. რა თქმა უნდა, ეს არ არის საკმარისი, მით უფრო, რომ კონკურენცია საკმაოდ დიდია.

ზურაბ ზვიადაური (90 კგ):

— სეზონის გამარჯვებით დაწყება სპორტსმენის ფსიქოლოგიურ განწყობაზე დადებითად მოქმედებს. წინ სერიოზული გამოცდები გველის და ვეცდები, ყველა მათგანი წარმატებით ჩავაბარო.

— ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზეც?

— მანამდე რამდენიმე სალიცენზიო ტურნირია. კარგი იქნება, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებამდე ელადის საგზურს თუ დავიზევებ. ასე უფრო თავისუფლად ვიჭიდავებ. ყველაფერს ვიღონებ, რათა ქომაგები არ გავაწბილო.

ზვიად ხანჯალიაშვილი (მძიმე წონა):

— ასეთი სიხარული, ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონი რომ გავხდი, მაშინ არ განმიცდია. ალბათ, იმიტომ, რომ საკუთარი გულშემატკივრების წინაშე პირველად მომეცა თავის გამოჩენის საშუალება. ბედნიერი ვიქნები, ათენის ოლიმპიურ თამაშებში ასპარეზობის უფლებას თუ მოვიპოვებ.

ესაუბრა
დავით კახიანი.

ათენიდან — ათენამდე

წინამორბედებს აჯობა

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა, როგორც მოსალოდნელი იყო, არჩევანი კვლავ „ბებერ კონტინენტზე" შეაჩერა. თავდაპირველად, თანამედროვეობის IV ზაფხულის ოლიმპიური თამაშები რომში უნდა გამართულიყო, მაგრამ 1906 წელს მიზეზთა გამო იტალიელებმა ამ პატივზე უარი თქვეს და მარათონიც ინგლისელებს დაუთმეს. აბა, ბრიტანელები ამგვარ შანსზე უარს როგორ იტყოდნენ. უმოკლეს დროში ააგეს 70-ათასიანი სტადიონი, ველოტრეკი, საცურაო კომპლექსი, სხვა აუცილებელი სპორტული ნაგებობები და 1908 წლის ოლიმპიურ თამაშებსაც უმასპინძლეს.

სოკ-ის წევრთა შიში თამაშების დაბალ დონეზე გამართვის შესახებ არ გამართლდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ლონდონის თამაშები ორგანიზაციული თვალსაზრისით ყველა მის წინამორბედს სჯობდა.

ნისლიან ალბიონზე სპორტის 20 სახეობაში პირველობისთვის 22 ქვეყნის 2034 (აქედან 36 ქალი) სპორტსმენი იბრძოდა, რაც მანამდე გამართულ სამივე თამაშებში მონაწილე ათლეტთა საერთო რიცხვს აღემატება. საგულისხმოა, რომ სწორედ ლონდონში შედგა რუსეთის დებიუტი (5 სპორტსმენი). ისიც აღსანიშნავია, რომ სპორტსმენთა პროფესიონალიზმი ბევრად მაღალი იყო, რამაც ოლიმპიური თამაშების პოპულარიზაციასა და განვითარებას კიდევ უფრო შეუწყო ხელი.

ლონდონის 1908 წლის ოლიმპიური თამაშები იმითაც გამოირჩეოდა, რომ პროგრამაში პირველად შეიტანეს ფეხბურთელთა ტურნირი. თავიდან განაცხადი 8 ქვეყანამ წარადგინა, შემდეგ კი მათი რიცხვი ექვსამდე დავიდა. დანია — საფრანგეთის ფეხბურთელთა შეხვედრაში აღინიშნა ოლიმპიური თამაშების სარეკორდო ანგარიში (17:1), რომელსც, ალბათ, მოხსნა არ უწერია. ჩემპიონები, ცხადია ინგლისელები გახდნენ.

არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში პირველობა, ბუნებრივია, მასპინძლებს ერგოთ. მათ 147 მედალი მოიპოვეს (57 „ოქრო", 50 „ვერცხლი", 40 „ბრინჯაო"), შემდეგ ამერიკელი (23, 12, 12) და შვედი (8, 6, 11) სპორტსმენები მოდიან.

ქეთი ბიწაძე.

სურათებზე: 1908 წლის ოლიმპიური თამაშების ემბლემა; მარათონული რბენის ფინიშზე იტალიელი დორანდო პიეტრა (მარჯვნივ — ცნობილი მწერალი არტურ კონან-დოილი).

კონტაქტები

ხელი ხელს დაჰკრეს

ოცდამეერთე საუკუნის პირველი ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მოახლოებასთან ერთად, ბუნებრივია, მისადმი ინტერესი სულ უფრო მატულობს. მას შემდეგ, რაც „ათენი 2004"-ის საორგანიზაციო კომიტეტს საბერძნეთში მეტად ავტორიტეტული და დაფასებული ქალბატონი გიანას ანგელოპულოს-დასკალაკი ჩაუდგა სათავეში, ათენმაც შვებით ამოისუნქთა.

ჯერ კიდევ ხუან ანტონიო სამარანჩის პრეზიდენტობისას სოკ-მა ათენს ყვითელი ბარათი უჩვენა და თამაშების მასპინძლობის ჩამორთმევით დაემუქრა. ბერძნებს მხსნელად „რკინის ლედი" მოევლინა და საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმაც მუქარის ტონი შეარბილა...

ახლახან გიანას ანგელოპულოსი ბერლინში გერმანიის კანცლერმა გერხარდ შროიდერმა მიიღო. შეხვედრისას ბერძნულმა მხარემ კანცლერს ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების შესახებ მოუთხრო. „ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ ათენის თამაშები უწინდელთაგან გამორჩეული იყოს. ოლიმპიური თამაშები ხომ სამშობლოს უბრუნდება", — თქვა ანგელოპულოსმა.

გერხარდ შროიდერმა მომავალი ოლიმპიადის ისტორიულ და განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება და დასძინა, რომ გერმანია ათენის თამაშებისთვის სერიოზულად ემზადება. შეხვედრაზე კანცლერმა გამოთქვა სურვილი, შეიქმნას ე. წ. „სამეულთა კომიტეტი" (საბერძნეთი, იტალია, გერმანია), რამეთუ უახლოეს წლებში აღნიშნულ ქვეყნებში სამი მსოფლიო მასშტაბის გრანდიოზული სპორტული ღონისძიება გაიმართება („ათენი 2004", 2006 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშები ტურინში და ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში 2006 წელს).

შროიდერმა აღნიშნა, რომ ათენის ოლიმპიური თამაშებისადმი მისი ქვეყნის დაინტერესება იმაშიც გამოიხატება, რომ გერმანიის 1869 მოქალაქემ უკვე გამოთქვა სურვილი, ოლიმპიადას მოხალისეებად მოემსახურონ.

„ჩემთვის დიდი პატივია, რომ ბატონ კანცლერთან შეხვედრის საშუალება მომეცა, რაც საკმაოდ ნაყოფიერი და ორმხრივად სასარგებლო გახლდათ. ვისაუბრეთ მომავალი ოლიმპიური თამაშების მზადებისა და ორი ქვეყნის თანამშრომლობის შესახებ. მოხარული ვარ, რომ ბატონი კანცლერი სიამოვნებით დათანხმდა ჩვენს მოწვევას, დაესწროს ოლიმპიურ თამაშებს". — განაცხადა გიანას ანგელოპულოსმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

არჩილ ბეკურიშვილი.

ვიქტორინა

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა (VI ტური)

1. რომელ ოლიმპიადაზე იყო საქართველო წარმოდგენილი ყველაზე მცირერიცხოვანი სპორტსმენით და რამდენი კაცით?

2. ვინ იყო ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი?

3. ვინ იყო პირველი სპორტსმენი, რომელმაც ოლიმპიურ თამაშებზე აკრძალული პრეპარატების გამოყენებისთვის დისკვალიფიკაცია მიიღო?

4. სად გაიმართა 1952 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშები და რამდენი ქვეყანა მონაწილეობდა მასში?

5. სად გაიმართა 1995 წლის ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური დღეები და რა შედეგი აჩვენეს ქართველმა სპორტსმენებმა?

წინა ვიქტორინის პასუხები:

1. პრინცი ალბერი, მონაკო.
2. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შტაბ-ბინა მდებარეობს ლოზანაში (შვეიცარია).
3. ქართველი სპორტსმენები ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ დღეებში მონაწილეობენ 1993 წლიდან.
4. არც ერთი.
5. კახა წაქაძე არის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ოთხგზის მონაწილე.

კვლავინდებურად ლიდერობენ გარი ამირხანოვი და დავით კუხიანიძე.

პასუხები 28 თებერვლამდე გამოგზავნეთ სეოკ-ის ოფისში (მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის № 65, ტელ: 94-30-91) წარწერით — „ოლიმპიური ვიქტორინა".

ფეხბურთი

ახალი სეზონი — ახალი მწვრთნელით

შარშან საქართველოს ახალგაზრდა ფეხბურთელთა ნაკრები ევროპის პირველობის მორიგ შესარჩევ ციკლში ჩაერთო, რომელიც იმავდროულად 2004 წლის ოლიმპიური თამაშების საკვალიფიკაციო ეტაპიც არის.

შესარჩევ ტურნირს იმედიანი განწყობით შევხვდით — მეტოქეთა (ირლანდია, რუსეთი, შვეიცარია, ალბანეთი) შესაძლებლობები გვაძლევდა ამის საფუძველს, თუმცა, სტარტზევე შვეიცარიის და რუსეთის გუნდებთან განცდილმა მარცხმა ჩვენს ოცნებებს ფრთები შეაკვეცა.

ახალ საფეხბურთო სეზონს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ახალი მწვრთნელით დაიწყებს, რადგან ზედიზედ ორი წაგების შემდეგ ვახტანგ კოპალეიშვილმა მთავარი მწვრთნელის თანამდებობა დატოვა. ფეხბურთის ეროვნულმა ფედერაციამ ამ პოსტზე რევაზ არველაძე დაამტკიცა.

ახალ მწვრთნელს პირველი სერიოზული გამოცდა რამდენიმე დღეში მოლდოვის ნაკრებთან ამხანაგურ პაექრობაში ელის. მართალია, ათენის ოლიმპიადაზე მოხვედრის მხოლოდ თეორიული შანსიღა რჩება, მაგრამ მოლდოველებთან მატჩს სამომავლოდ მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს.



იზა პირველი.

გვერდი მოამზადა სეოკის პრესცენტრმა

ალბომი

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი

სოფელი გურიანთა (ოზურგეთის რ-ნი). გურიანთის ისტორიულ-გეოგრაფიული სამეცნიერო ექსპედიციის ხელმძღვანელი, აკადემიკოსი ნიკოლოზ ბერძენიშვილი და მისი მეუღლე, გამოჩენილი არქეოლოგი ნინო ბერძენიშვილი ველზე შესვენებისას.
1963 წელი,

მოგვაწოდა იური სიხარულიძემ.

საღამო

«აქა მოსვლითა გაყმდების...»

არაერთი საჭირო და სასარგებლო ღონისძიების მოთავეა ლიტერატურული გაერთიანება „საფიხვნო", რომელსაც ახალგაზრდა მწერლები სანდრო უსტიაშვილი და თამარ შაიშმელაშვილი თავკაცობენ. მისი ყურადღების საგანია როგორც დამწყებ ავტორებთან მუშაობა, ისე აღიარებულ მწერლებთან შეხვედრები.

ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა „საფიხვნომ" ცნობილ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს სილოვან ნარიმანიძეს მიუძღვნა. მას მალე დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდება. ხუთ ათეულ წელზე მეტია, იგი ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწევა. არის მრავალი პოეტური, პროზაული და პუბლიცისტური კრებულის ავტორი. მიუხედავად მოძალებული წლებისა, სილოვან ნარიმანიძე დღესაც მრავალი საზოგადოებრივი ღონისძიების მოთავეა. უკანასკნელ ხანს პრესაში გამოაქვეყნა არაერთი მწვავე პუბლიცისტური წერილი, რომლებიც დღევანდელობის წინააღმდეგობრივი მოვლენებით არის ბეჭედდასმული. გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" დაბეჭდილი მოთხრობები „უენოთა ბელადი" და „სიკვდილმისჯილი" მკითხველმა მწერლის მორიგ შემოქმედებით გამარჯვებად აღიარა.

„საფიხვნოს" მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე სილოვან ნარიმანიძის შემოქმედების თავისებურებებსა და ადამიანურ ღირსებებზე ისაუბრეს ნოდარ ჯალაღონიამ, ვაჟა ოთარაშვილმა, ციალა ბრეგვაძემ, ზუმრუდ გოდერძიშვილმა, ჯიბო ლომაშვილმა, შალვა მჭედლიშვილმა, უშანგ სახლთხუციშვილმა, თემურ შავლაძემ. პოეტს საკუთარი ლექსით მიმართა ლამარა რჩეულიშვილმა. მარიამ შამფრიანმა საყურადღებო ამბები გაიხსენა სილოვან ნარიმანიძისა და თავისი მეუღლის — პოეტ სიმონ შამფრიანის ურთიერთობიდან.

გულთბილი სიტყვა უნდა ითქვას ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბ „კოტონზე" (გივი ჩაჩანიძე), რომლის კარი ასეთი ღონისძიებებისათვის მუდამ ღიაა. ეს გახლავთ შემოქმედთა ერთგვარი თავშესაფარი, რადგან, როგორც დიდი რუსთაველი იტყოდა, „აქა მოსვლითა გაყმდების კაციცა იყო, ბერები". დარწმუნებული ვარ, იმ საღამოს ხიბლი და სითბო სილოვან ნარიმანიძისათვის ახალი შემოქმედებითი აღმაფრენის მუხტი გახდება, რაც აღიარა კიდეც თავის სამადლობელ სიტყვაში.

ელგუჯა ლებანიძე.

დაფასება

დილა გაზეთით იწყება

დილაადრიან იმ საგაზეთო ჯიხურს ვაკითხავთ, რომელიც უკვე ღიაა, ჟურნალ-გაზეთები დახლზე აწყვია და შეგიძლია შენი სურვილით აირჩიო შენთვის სასურველი გამოცემა. გამყიდველიც ღიმილით გხვდება, გირჩევს, ან იცის კიდეც, შენ მის ჯიხურში რომელი გაზეთის მყიდველი ხარ, რისი გაგება გაინტერესებს.

ჩვენმა კოლექტივმა სარედაქციო თათბირზე საგაზეთო ჯიხურის სწორედ ორ ასეთ გამყიდველს — პრესის გავრცელების სამსახურის რეალიზატორს უმასპინძლა. მათ, ვისაც მოსახლეობის ინფორმაციულ უზრუნველყოფაში პირადი წვლილი შეაქვს და ნაყოფიერად მუშაობს საამისოდ. ისინი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკისა" და, საერთოდ, პრესის გავრცელების ქსელის ის თანამშრომლები არიან, რომლებიც საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 21 იანვრის განკარგულებით ღირსების მედლებით დაჯილდოვდნენ. ჯილდოები გადაეცათ „მაცნეს" № 51 (მდებარეობს ჩუღურეთში, ხეთაგუროვის 4) ჯიხურის გამყიდველს იამზე ბესელია-კაკულიას და „პრესის გავრცელების სამსახურის" (ჯიხური ბუკიას ბაღთან მდებარეობს) საგაზეთო ჯიხურის გამყიდველ ნუნუ ლაბაძეს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" სარედაქციო კოლეგიის წევრებმა, ჟურნალისტებმა სტუმრებს ჯილდოები მიულოცეს და წარმატებები უსურვეს.

ნათელა ფაილოძე.

სურათზე: იამზე ბესელია-კაკულია და ნუნუ ლაბაძე.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

ღიმილის დოზა

ფსიქოთერაპევტი კოლეგას შეხვდა:
— მორჩა! დღეიდან წვეთს აღარ დავლევ!
— რა მოხდა ასეთი?!
— გუშინ, ბანკეტის შემდეგ შევდივარ კაბინეტში, იქ კი კლიენტი მხვდება... შევხედე თუ არა, მივხვდი, რომ დიდი პრობლემების წინაშე დგას. დაველაპარაკე, დავეხმარე ახლებურად შეეხედა სიტუაციისათვის. ის იყო კონსულტაცია უნდა დამემთავრებინა, კაბინეტში მორიგე ექიმი შემოვიდა და მეკითხება, ვის ელაპარაკები და რატომ ზიხარ სარკის წინო.

* * *

ჰარი პოტერი დილაადრიან ადგა, შეჯდა ცოცხზე, მივიდა ღია სარკმელთან და ჩაიბურტყუნა:
— ჯერ სად წავიდეთ?
— უკეთესია, პირდაპირ ფსიქიატრთან, თანაც ფეხით, — უპასუხა ბუკლიმ, — თორემ თუ ფანჯრიდან გადახტები, ჯერ ტრავმატოლოგთან მოგვიწევს წასვლა.

* * *

— როგორია მაქსიმალური სიჩქარე სექსში?
— 68. რადგან 69-ზე გადაბრუნდებით.

* * *

სტუდენტის ლოგიკა საგამოცდო სესიების პერიოდში: რა საჭიროა ბევრის ცოდნა? რაც მეტი მეცოდინება, მით უფრო მეტი დამავიწყდება. შედეგად, რაც უფრო მეტი მავიწყდება, მით უფრო ნაკლები მეცოდინება. სამაგიეროდ, რაც ნაკლები მეცოდინება, უფრო ნაკლები დამავიწყდება. და რახან ნაკლები დამავიწყდება, უფრო მეტი დამრჩება თავში. მაშასადამე, რაც ნაკლები ვიცი, მით უფრო მეტი ვიცი.

* * *

ავტოინსპექტორის პატაკიდან: დღეს გაგარინის ქუჩაზე ერთმანეთს დაეჯახა „ვოლგა" და „ზაპოროჟეცი". ორივე უცხოური მარკის შოფერი ჰოსპიტალიზებულია.

* * *

ბავშვების ანეკდოტი:
— რომელი თევზი შიშინებს?
— რომელიც ტაფაზე იწვება.

ხსოვნა

ევგენია ჟორდანია

...უსაზღვრო იყო ჩვენი სიხარული, როცა ღვაწლმოსილ პედაგოგს თბილისის № 28 ბაგა-ბაღის გამგეს, ქალბატონ ევგენია ჟორდანიას ვულოცავდით იუბილეს... გვეამაყებოდა, რომ ქალაქის ერთ-ერთი თვალსაჩინო ბაღის გამგე, სამგორის რაიონის წარმომადგენელი იყო და ჩვენც საქებარ-სამადლობელ სიტყვებს არ ვიშურებდით პიროვნულად სპეტაკ, გარეგნულად მომხიბლავ, დიდი ერუდიციისა და მაღალი ინტელექტის ქალბატონისათვის.

დღეს საოცრად გვიმძიმს, ცრემლიანი თვალებით გეთხოვებით კოლეგები, ქალბატონო ევგენია. მსუბუქი ყოფილიყოს თქვენთვის საქართველოს ის მადლიანი მიწა, რომელსაც ათასობით ღირსეული მოქალაქე აღუზარდეთ.

33 წლის განმავლობაში ემსახურა ქალბატონი ევგენია თავის საყვარელ ბაგა-ბაღს, 33 წლის ყოველი დილა ახალ-ახალი იდეებით იყო სავსე, ყველაფერს შემოქმედებითად უდგებოდა: „სხვანაირად არ შეიძლება, — ამბობდა იგი. — მე იქ ვარ, სადაც ბავშვები არიან, ბავშვები კი ყოველ დღე ელიან ზღაპარს". აკი თავადაც იმრუნა იმაზე, რომ ნორჩ აღსაზრდელებს თავი მართლაც ზღაპარში ეგრძნოთ. იგი პატარა აღსაზრდელებში ვირტუოზებს ხედავდა.

დასანანია, რომ დღეს ქალბატონი ევგენია ჩვენს შორის აღარ არის... მდიდარი შინაგანი სამყაროს მქონე ადამიანი ამ ქვეყნიდან წასვლისას ისეთივე არაჩვეულებრივი იყო, როგორც სიცოცხლის განმავლობაში; ცდილობდა, არავინ შეეწუხებინა, რადგან ვის, თუ არა, ასეთ ფაქიზ ქალბატონს ესმოდა, რომ გაუსაძლის რეალობაში ყველას თავისი სატარებელი ტვირთის სიმძიმე ყოფნის.

დიდი მადლობა, ქალბატონო ევგენია, ყველას მიმართ გაწეული ამაგისა და სიკეთისათვის. თქვენსავე ბაღის სამლოცველოში ძალიან დიდხანს ენთება სანთელი საყვარელი ქალბატონი ევგენიას არა მარტო მოგონების, არამედ მადლიერების და დაფასების სიმბოლოდ.

სამგორის რაიონის განათლების მუშაკები, რაიონული პროფსაბჭო.

შვილები ნანა, დათო ქსოვრელები, ძმა კანდიდი, დები მზია, ნორა, ლია გურგენიძეები, სიძე მერაბ ოკინაშვილი, შვილიშვილი გიორგი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ციცო ქსოვრელი — გურგენიძე

პანაშვიდი 6, 7 II, 5 სთ. გამოსვენება 8 II, 3 სთ. ქეთევან წამებულის № 88, II სადარბაზო, III სართული, ბინა 13.

საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სისტემის ღვაწლმოსილი მუშაკი, შრომის ვეტერანი

ალექსანდრე შიოს ძე გონგლიაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ჯამლეთ ბაბილაშვილი ოჯახით თანაუგრძნობს კარდიოლოგიური კლინიკა „გულის" ხელმძღვანელს ანზორ მელიას დედის

ვენერა ჩაჩიბაიას

გარდაცვალების გამო.

გური და თემურ ჯანაშიები ოჯახებით, თანაუგრძნობენ ნოდარ და ანზორ მელიებს დედის

ვენერა ჩაჩიბაიას

გარდაცვალების გამო.

შვილები გოდერძი, რუსიკო, გოგი ბუკიები, დები ლარისა, ლუარა, ლეილა კოდუები, რძლები მანანა კვირიკაშვილი, ნანი კილასონია, ირა ბუკია. სიძეები ინდიკო (ბაძუ) გვასალია, ჟორა ლატარია, ვალერი უბირია, მიშიკო კორკოტაძე, შვილიშვილები ნათია, ლალი, გიორგი ბუკიები, ელენე, ანა, ლევანი, ვალიდა უბირიები, შვილთაშვილი გიორგი კორკოტაძე, მულისშვილი ჯუმბერ ბერიშვილი, მაზლისშვილი საშა ბუკია, დისწულები, ძმისწულები, უახლოესი ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ელეონორა (ნორა) კოდუა-ბუკია

პანაშვიდი 7, 8 II, დაკრძალვა 9, II, 4 სთ. ხობის რაიონი, სოფელი პირველი მაისი.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ღრმა სამძიმარს უცხადებს საგანგებო დავალებათა ელჩს ბატონ გოდერძი ბუკიას დედის

ელეონორა კოდუას

გარდაცვალების გამო.

მაია და გურამ ახალაიები ოჯახით თანაუგრძნობენ გოდერძი და მანანა ბუკიებს დედისა და დედამთილის ქალბატონ

ელეონორა (ნორა) კოდუა-ბუკიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლო ნათესავებს.

თემურ ხარებავა, თემურ კვარაცხელია ოჯახებით თანაუგრძნობენ გოდერძი და მანანა ბუკიებს დედისა და დედამთილის ქალბატონ

ელეონორა (ნორა) კოდუა-ბუკიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლო ნათესავებს.

ქ. თბილისის მერიის, საკრებულოსა და მთავრობის აპარატის იურიდიული სამსახური თანაუგრძნობს ამავე სამსახურის მთავარ სპეციალისტს თინიკო ეცადაშვილს მამამთილის

ტიტე სხირტლაძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია თანაუგრძნობს კავშირგაბმულობის, ფოსტისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს ჯემალ ვამაკიძეს დედის

ლუბა ვამაკიძის

გარდაცვალების გამო.

სააქციო საზოგადოება ნავთობის ეროვნული კომპანია „საქნავთობის" კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება კომპანიის გენერალური დირექტორის გიორგი მახარაძის ბიძის

ზიპი ბერძენიშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

შპს „ელექტრომაგნიტურ თავსებადობასა და ხელშეშლებზე დაკვირვების სამსახური" სამძიმარს უცხადებს კავშირგაბმულობის და ფოსტის ადმინისტრაციის თავმჯდომარის მოადგილეს ჯემალ ვამაკიძეს დედის

ლუბა ბარნაბიშვილი-ვამაკიძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს გენერალური პროკურატურის გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველო და პროკურატურის ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილება სამძიმარს უცხადებს გურიის საოლქო პროკურორს ვახტანგ მიქატაძეს მამის

გიორგი მიქატაძის

გარდაცვალების გამო.

ხსოვნა

მიხეილ ანთელავა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ყოფილი თანამშრომლის მიხეილ თენგიზის ძე ანთელავას ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

წავიდა ჩვენგან ენერგიით აღსავსე, სათნოებითა და მამულის სიყვარულით გულანთებული, ლამაზი სულის ადამიანი. ხანმოკლე აღმოჩნდა მისთვის ეს ცხოვრება. ალბათ, ამიტომაც ისწრაფვოდა იგი, ყოფილიყო ყველასათვის ახლობელი და საყვარელი ადამიანი... და მაინც, მისი ბუნებისა და შთაგონების ადამიანს ბევრი რამ დარჩა გასაკეთებელი. ტრაგიკულმა შემთხვევამ ფრთები შეაჭრა მიხეილის ოცნებებს და თან გააყოლა იმქვეყნად აფხაზეთის ტრაგედიით გამოწვეული დიდი სევდა. ჩვენ კი, მის მეგობრებს მასთან ხანმოკლე სამსახურებრივი ურთიერთობის მიუხედავად, ამქვეყნიდან მისი უდროოდ წასვლით გამოწვეულ გულისტკივილთან ერთად სამახსოვროდ გვრჩება მის შესახებ ლამაზი და ტკბილი მოგონებები.

მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის მშობლიური მიწა და გზა მარადიული სასუფევლისაკენ!

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო.

მიხეილ (მიშკა) ანთელავა

მიხეილ (მიშკა) თენგიზის ძე ანთელავა დაიბადა 1976 წლის 22 ნოემბერს ქ. სოხუმში. 1992 წელს წარჩინებით დაამთავრა ქ. სოხუმის მეორე საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ სოხუმის ფილიალში სამართლისმცოდნეობის სპეციალობით, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1998 წელს. 1999-2001 წ.წ. იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფო სამართლის ინსტიტუტის ასპირანტი. მიხეილ ანთელავას ეკუთვნის საინტერესო გამოკვლევა — „სამხრეთ რუსეთის თეთრი მოძრაობის სახელმწიფო მოწყობის ზოგიერთი საკითხისათვის (1917-1920 წწ.)" 2001 წელს მუშაობდა აფხაზეთის უზენაეს სასამართლოში.

დიდია მიხეილ ანთელავას წვლილი თსუ სოხუმის ფილიალში კრიმინალისტიკური ლაბორატორიის ჩამოყალიბებაში. მისი ხელმძღვანელობით სოხუმის ფილიალში მიმდინარეობდა არა მარტო სწავლების, არამედ კრიმინალური გამოკვლევების პროცესიც. მიხეილ ანთელავა პარალელურად კითხულობდა ლექციების კურსს სახელმწიფოსა და სამართლის თეორიაში. 2002 წელს მ. ანთელავას მიენიჭა პირველი კლასის იურისტის კვალიფიკაცია. 2002 წლის სექტემბრიდან იგი მუშაობდა აფხაზეთის ა/რ იუსტიციის მინისტრის აპარატის უფროსად.

მიხეილ ანთელავა აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იგი თავდადებით იცავდა დევნილი მოსახლეობის ინტერესებს როგორც იურისტი და მეცნიერი.

მიხეილ ანთელავა ბავშვობიდან წარმატებით მისდევდა სპორტს. იყო საქართველოსა და აფხაზეთის არაერთგზის ჩემპიონი ძიუდოში მოსწავლე ახალგაზრდებს შორის. 1991 წელს მონაწილეობა მიიღო ოდესაში გამართულ საკავშირო ტურნირში, სადაც პირველი ადგილი მოიპოვა. 2001 წელს მან მონაწილეობა მიიღო საქართველოს თასის გათამაშებაში ათლეტიზმში, სადაც მეორე ადგილი დაიკავა და დაჯილდოვდა ვერცხლის მედლითა და საქართველოს ათლეტიზმის ფედერაციის სპეციალური დიპლომით.

უდროოდ წავიდა კაცი, რომელიც სითბოსა და სიყვარულს ასხივებდა, უშურველად თესდა სიკეთეს.

მიხეილ ანთელავას ნათელი სახელი მუდამ დარჩება აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის ხსოვნაში.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო,
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ სოხუმის ფილიალი.

საქართველოს პარლამენტის ფრაქცია „აფხაზეთის" წევრები ღრმა მწუხარებას გამოხატავენ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს აპარატის უფროსის, დიდებული ახალგაზრდის

მიხეილ თენგიზის ძე ანთელავას

ტრაგიკულად დაღუპვის გამო და სამძიმარს უცხადებენ მის მშობლებს დინა ძიაპშიპას და თენგიზ ანთელავას.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და სამძიმარს უცხადებს ქალბატონ დიანა ძიაპშიპას და ბატონ თენგიზ ანთელავას შვილის

მიხეილ თენგიზის ძე ანთელავას

ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

ბესარიონ ზოიძე გულისტკივილით იუწყება, რომ ტრაგიკულად დაიღუპა საუკეთესო პიროვნება, ნიჭიერი იურისტი

მიხეილ ანთელავა

და სამძიმარს უცხადებს ოჯახს.

რეზო და ნუგზარ გერგედავები, რეზო ბერძენიშვილი ოჯახებით ღრმა სამძიმარს უცხადებენ ბატონ თენგიზ ანთელავას ოჯახს შვილის

მიხეილ ანთელავას

ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

ზურაბ ქარდავას ოჯახი ღრმა სამძიმარს უცხადებს ბატონ თენგიზ ანთელავას ოჯახს შვილის

მიხეილ ანთელავას

ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

ალექსანდრე ქარდავა, ირაკლი და ამირან გერგედავები, ლევან ბერძენიშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან მეგობრის

მიხეილ ანთელავას

ტრაგიკულად დაღუპვას და თანაგრძნობას უცხადებენ ბატონ თენგიზ ანთელავას ოჯახს.

მეგი და კლიმენტი შელიები ოჯახით სამძიმარს უცხადებენ დიანა და თენგიზ ანთელავებს შვილის

მიშიკო ანთელავას

გარდაცვალების გამო.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს კოლექტივი გამოთქვამს ღრმა მწუხარებას

მიხეილ თენგიზის ძე ანთელავას

ტრაგიკულად დაღუპვის გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ვლადიმერ და გიორგი გოგოლაძეები, გივი კვიჭიძე ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ უახლოეს მეგობარს თამაზ ჟორდანიას მეუღლის

ქალბატონ ჟენიას

გარდაცვალების გამო.

ლია და ელგუჯა მირველაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მარეხ კერვალიშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

საქართველოს პრეზიდენტთან არსებული უცხოური ინვესტიციების (საინვესტიციო) საკონსულტაციო საბჭოს სამდივნოსა და საქართველოს ფინანსთა და ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროების

განცხადება

"საქართველოს საინსტიტუციო მშენებლობის განვითარების პროექტების განმახორციელებელი რგოლის" დირექტორის შესარჩევად

საქართველოს პრეზიდენტთან არსებული უცხოური ინვესტიციების (საინვესტიციო) საკონსულტაციო საბჭოს სამდივნო და საქართველოს ფინანსთა და ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროები აცხადებენ კონკურსს საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 15 აგვისტოს №331 ბრძანებულების საფუძველზე შექმნილი "საქართველოს საინსტიტუციო მშენებლობის განვითარების პროექტების განმახორციელებელი რგოლის" დირექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე.

ძირითადი მოვალეობანი: საქართველოს საინსტიტუციო მშენებლობის განვითარების პროექტების განმახორციელებელი რგოლის მართვა; საქართველოს საინსტიტუციო მშენებლობის განვითარების პროექტების განმახორციელებელ რგოლს, საქართველოს მთავრობასა და დონორ ორგანიზაციებს შორის ურთიერთობების წარმართვა.

ხელფასის ოდენობა: ხელფასი გამოიყოფა მსოფლიო ბანკის კრედიტის თანხიდან.

კონტრაქტის ვადა: კონტრაქტი თავდაპირველად გაფორმდება ექვსი თვით, შემდგომი გაგრძელების შესაძლებლობით.

საჭირო გამოცდილება:

- უმაღლესი განათლება ფინანსებსა და ეკონომიკაში ან სხვა მონათესავე დარგებში
- მინიმუმ 5 წლის წარმატებული მუშაობის გამოცდილება მმართველ თანამდებობებზე (საჭიროა სათანადო რეკომენდაციები);
- საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტების მართვის გამოცდილება;
- საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუშაობის მინიმუმ 5 წლის გამოცდილება;
- კომუნიკაბელურობა და მოლაპარაკებათა წარმოების უნარ-ჩვევა;
- ქართული და ინგლისური ენების კარგი ცოდნა (როგორც წერითი, ისე ზეპირი);
- კომპიუტერზე მუშაობის ცოდნა;

სასურველია:

- საერთაშორისო ორგანიზაციებში მიღებული ადმინისტრაციული პროცედურების, ფინანსური მენეჯმენტის, საბუღალტრო აღრიცხვისა და შესყიდვების პრინციპების კარგი ცოდნა;
- საზღვარგარეთ მიღებული განათლება.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ ავტობიოგრაფიები (CV) ქართულ და ინგლისურ ენებზე, განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომების/მოწმობების ასლები, მინიმუმ ორი სარეკომენდაციო წერილი.

განაცხადები მიიღება გამოქვეყნებიდან ერთი კვირის განმავლობაში შაბათის და კვირის გარდა, 11 სთ-დან 17 სთ-მდე ქვემოთ აღნიშნულ მისამართზე.

ქ. თბილისი, 380077, ყაზბეგის გამ. №42, V სართული, ოთახი № 6.
ტელ: (995 32) 950865 ფაქსი: (995 32) 955268

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-2002"

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბექა ჭედია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები – „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
ბექა ჭედია.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი,
გ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება – ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა – sakresp@gol.ge

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რაინდიზის ჩიხი 20.